

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკა“

ინგა სამხარაძე

არაორდინარული ატმოსფერული პროცესებისა და გარემოს დაბინძურების
ზოგიერთი საკითხების მოდელირება საქართველოს რთული ოროგრაფიის
პირობებში

ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეიმურაზ დავითაშვილი
ფიზ.მათ.მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

თბილისი
2022 წელი

Ivane Javakishvili Tbilisi State University
Faculty of Exact and Natural Sciences

Doctoral Program: **Physics**

Inga Samkharadze

**Modeling of Extraordinary Atmospheric Processes and Some Environmental
Pollution Issues in the Complex Orography of Georgia**

The thesis work is performed to obtain a PhD academic degree in Physics

Scientific Supervisor: Teimuraz Davitashvili,
Doctor of Phys-Math Sciences, Professor.

Tbilisi
2022 Year

აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომში სამგანზომილებიანი ჰიდროსტატიკური მეზომასტაბური მოდელის საფუძველზე შესწავლილია ჰაერის დინების თავისებურებები, იზოლირებული დაბრკოლებისა და სამხრეთ კავკასიის რეალურ რელიეფის შემთხვევაში, არასტაციონარული ფართომასშტაბიანი ფონური პროცესების პირობებში. რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ტროპოსფეროში ოროგრაფიულ თავისებურებების გავლენა მნიშვნელოვნად გარდაქმნის არამდგრად ფონურ ნაკადს. კერძოდ, ატმოსფეროს სინოპტიკური მასშტაბის მოძრაობის დროს მნიშვნელოვნად იზრდება ვერტიკალური მიმართულებით მეზომასტაბური ნაკადის ამპლიტუდები და საშუალო მნიშვნელობიდან მათი გადახრის სიდიდეები (ქარის სიჩქარის მაქსიმალურმა სიდიდემ მიაღწია 26 მ/წმ-ს, როდესაც შეუშფოთებელი ფონური ჰაერის ნაკადის სიჩქარე იყო 12 მ/წმ). გარდა ამისა, ნაჩვენებ იქნა, რომ ფონური დინების არარსებობის შემთხვევაშიც, ატმოსფერული ქარის სიდიდემ შეიძლება მნიშვნელოვნად მოიმატოს რელიეფის გავლენით. გარდა ამისა, რიცხვითი თვლის შედეგებმა აჩვენა, რომ ტროპოსფეროში კავკასიონის ქედის გავლენით (მოდელირებული რელიეფის პირობებში) მნიშვნელოვნად გაიზარდა ატმოსფერული დინების ამპლიტუდები და გაჩნდა მორევის ტიპის ტურბულენტური სტრუქტურები მაშინაც კი, როდესაც ფონური დინება იყო მცირე. ეს შედეგები პირველად იქნა მიღებული რიცხვითი მოდელირებით და კარგ თანხმობაშია მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემებთან.

ასევე იმერეთის რეგიონის ძლიერი ქარების რეჟიმი და სტატისტიკური მახასიათებლები შესწავლილია ქუთაისის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების საფუძველზე. 1960-2021 წ.წ. პერიოდისათვის ქარის სიჩქარეები დაყოფილია 5 მ/წმ შუალედებად და თითოეული შუალედისთვის შესწავლილია ქარის სიჩქარეთა განმეორებადობა თვეების მიხედვით. ნაჩვენებია ქარის სიჩქარეთა გრადაციების პროცენტული განაწილება და მათი საშუალო მნიშვნელობების ცვლილება წლებისა და თვეების მიხედვით. დადგენილია რომ ენერგეტიკული თვალსაზრისით ქუთაისის

რეგიონისთვის ძირითადი წამყვანი ქარის სიჩქარის შუალედი 16-20 მ/წმ. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ზაფხულში 20-25 მ/წმ ინტერვალების ქარის მნიშვნელობები მინიმალურია დანარჩენი სეზონების ქარის მნიშვნელობებთან შედარებით, მაგრამ ენერგეტიკული თვალსაზრისით ეს არ არის მნიშვნელოვანი, რადგანაც ქარის სიჩქარის 16-20 მ/წმ შუალედი უზრუნველყოფს ქარის ენერჯის გამოყენების მაქსიმალურ ეფექტურობას. ამგვარად, ენერგეტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასეთი სიდიდის სიჩქარეები, რომლებიც უზრუნველყოფს ქარის ენერგეტიკული დანადგარის ავტომატურ რეჟიმს და წარმოადგენს ქარის ელექტროსადგურების გავითარებისთვის მნიშვნელოვან საუბველს დასავლეთ საქართველოში.

სადისერტაციო ნაშრომში შეისწავლება თავსხმა ნალექებისა და სეტყვის პროგნოზირების საკითხები, დაფუძნებული, ამინდის კვლევისა და პროგნოზირების (WRF v.3.6) მოდელის რიცხვითი გათვლებზე, ARL READY-ის ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობის მახასიათებლებზე და კახეთის მეტეოროლოგიური რადარით მიღებულ რეალურ მონაცემთა ურთიერთ შედარების ანალიზზე. თავდაპირველად კვლევები ეფუძნებოდა 2015-16 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში მეტეოროლოგიური რადარით დაფიქსირებულ რამოდენიმე ძლიერ თავსხმა წვიმისა და სეტყვის შემთხვევების შესწავლას. კერძოდ, აღნიშნული პროცესები შესწავლილ იქნა WRF მოდელის დრუბლების სამი და მიკროფიზიკის ხუთი პარამეტრიზაციის სქემების ყველა შესაძლო კომბინაციის მოდელირებითა და ARL READY სისტემის ძირითადი არამდგრადობის ენერჯის მახასიათებლებით, რითაც შეფასდა ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა. მიღებული შედეგების ველიდაციის მიზნით, შესწავლილ იქნა ყველა ის შემთხვევა როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში ადგილი ჰქონდა საშიშ მეტეოროლოგიურ მოვლენებს (თავსხმა წვიმა ,სეტყვა) 2015-19 წლებში. აღმოჩნდა, რომ ყველა შესწავლილ შემთხვევისთვის ARL READY სისტემის არამდგრადობის ენერჯის მახასიათებელი CAPE-ის რიცხვითი მნიშვნელობები იყო მაქსიმალური 09:00-15:00 UTC დროის შუალედში, როცა ნიადაგის მაღალი ტემპერატურის გამო ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა კონვექციური პროცესების

განვითარებისთვის. დისერტაციაში შემოთავაზებულია, რომ საშიში ლოკალური ატმოსფერული პროცესების WRF მოდელით პროგნოზირებისას აუცილებელია შესწავლილ იქნას ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა 09:00-15:00 UTC დროის შუალედში ARL READY სისტემის ერთერთი ძირითადი ინდიკატორის CAPE-ს საფუძველზე, რაც სიახლეა.

საქართველოში ისევე როგორც მთელს მსოფლიოში საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების გახშირების ერთერთი ძირითადი მიზეზი გახდა ატმოსფეროში დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციების მკვეთრი ზრდა. ვინაიდან საქართველოში ერთ-ერთ მთავარ დამაბინძურებელ ნივთიერებას მტვერი წარმოადგენს, ამიტომ პირველად სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილ იქნა უდაბნოებიდან საქართველოს ტერიტორიაზე მტვრის მიგრაციის სახითხი რიცხვითი მოდელებისა და დისტანციური ზონდირების პროდუქტების საშუალებით. ამინდის კვლევისა და პროგნოზირების ქიმიური WRF-Chem მოდელით ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ 2017 წლის ნოემბრიდან 2017 წლის დეკემბრამდე საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა უდაბნოებიდან მტვრის შემოტანის 9 შემთხვევა. ამათგან ორი ტიპური შემთხვევა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ - 2018 წლის 22-24 მარტსა და 25-26 ივლისს დაწვრილებით განხილულია და შესწავლილია სადისერტაციო ნაშრომში. თვლის შედეგების ველიდაციამ სატელიტურ CALIPSO, MODIS და ავტომატური მეტეოროლოგიური სადგურის PM10 გაზომილ მონაცემებთან აჩვენა, რომ ჩვენს მიერ პარამეტრიზებული WRF-Chem მოდელი კარგად აღწერდა უდაბნოებიდან საქართველოს ტერიტორიაზე მტვრის ტრანსპორტირებას კავკასიის რთული ოროგრაფიის პირობებში. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ უდაბნოდან წამოსული მტვერი გავლენას ახდენდა საქართველოს კლიმატურ პარამეტრების ცვლილებაზე. ასევე, WRF-Chem და HYSPLIT რიცხვითი მოდელების თვლის შედეგების ურთიერთ შედარებამ აჩვენა, რომ შესწავლილი პერიოდის განმავლობაში, მტვრის გადატანა საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებდა თანაბრად აფრიკის, შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური (დასავლეთი) აზიის უდაბნოებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ყარაყუმისა და კიზილკუმის უდაბნოებიდან მტვრის შემოტანა დაფიქსირდა ორჯერ, რომლის

კვალი ჯერაც არ იყო დაფიქსირებული არც კავკასიის მყინვარებზე ელბრუსი და ყაზბეგი.

Abstract

The dissertation is devoted to the study of the air flow characteristics based on the three-dimensional hydrostatic mesoscale model, in the case of isolated obstacles and real relief of the South Caucasus region under non-stationary large-scale background processes. An analysis of the results of numerical experiments showed the occurrence of some orographic effects in the troposphere, at significant transformations of the unsteady background flow. In particular, during the damping of the motion of the synoptic scales, the amplitudes of the mesoscale flow of the vertical directions and the deviation of the velocity from their average value increased significantly (the maximum values of wind speed reached 26 m / s, when the speed of the unperturbed background air flow was 12 m / s). In addition, it was shown that even in the absence of a background current, an atmospheric wind may exist with significant speeds over mountainous areas. Besides, the calculation results showed that over the Caucasus ridges (as in the case of the modeled relief), there is a significant increase in the amplitudes of atmospheric currents throughout the troposphere and the existence of vortex structures even when the background flow approaches the state of calm. These results were first obtained by numerical modeling and are in good agreement with meteorological observations.

The strong wind regime and statistical characteristics of the Imereti region were researched according to the data of the Kutaisi Meteorological Station. For the period 1960-2021, the wind speeds are divided into intervals of 5 m/s, and for each interval the wind speed recurrence rate is studied by months. The paper presents the percentage distribution of wind speed gradations and the change in their average values over the years and months. It has been determined that in terms of energy, the main range of wind speed for the Kutaisi region is 16-20 m/s. It should also be mentioned that the wind values at intervals of 20-25 m/s in summer are minimal compared to the wind values in other seasons. But from an energy point of view, this is less important because a wind speed interval of 16-20 m/s ensures maximum efficiency of wind energy use. Thus, from an energy point of view, speeds of such magnitude are essential,

which ensure the automatic mode of the wind farms and are an important basis for the development of wind power plants in western Georgia.

The dissertation deals with the issues of forecasting excess precipitation and hail, based on numerical calculations of the weather research and forecasting model (WRF v.3.6), the thermodynamic state characteristics of the ARL READY atmosphere, and the analysis of mutual comparison of real data obtained with Kakheti meteorological radar. Initially, the researches were based on the study of several cases of heavy rain and hail detected by meteorological radar in Eastern Georgia in 2015-2016. In particular, these processes were studied by modeling all possible combinations of three cloud parameterization schemes of the WRF model and five microphysical models and ARL READY with the main characteristics of the energy instability of the system, which made it possible to estimate the thermodynamic state of the atmosphere. In order to confirm the results obtained, all the cases were studied when in Eastern Georgia in 2015-2019 severe weather phenomena (rain, hail) took place. It was found that for all the studied cases, the numerical values of the CAPE characteristic of the energy instability of the ARL READY system were maximum, from 09:00 to 15:00 UTC, when due to the high temperature of the soil, favorable conditions were created for the development of convection processes. The dissertation suggests that when predicting hazardous local atmospheric processes with the WRF model, it is necessary to study the thermodynamic state of the atmosphere from 09:00 to 15:00 UTC, based on the CAPE, one of the key indicators of the ARL READY system, which is a novelty.

One of the main reasons for the exacerbation of dangerous meteorological conditions in Georgia, as well as throughout the world, was the sharp increase in the concentration of pollutants in the atmosphere. Since dust is one of the main pollutants in Georgia, therefore, for the first time in the dissertation, the issue of dust migration from the deserts to the territory of Georgia was studied, through numerical models and Remote Sensing Products. The results of calculations performed by the Weather Research and Forecasting Chemistry model (WRF-Chem) from December 2017 to November 2017 showed that nine cases of dust transfer to the territory of Georgia were recorded. Two of them, which took place on March 22-24 and July

25-26, 2018, are modeled and discussed in this dissertation. Comparison of the calculation results with the data of observations of PM10 particulate matter and satellite products of the Cloud Aerosol Lidar and Infrared Pathfinder Satellite Observation (CALIPSO) and the Moderate Resolution Imaging Spectroradiometer (MODIS) showed that the chosen WRF-Chem model satisfactorily simulates the transport of desert dust to the territory of Georgia in the complex orography of the Caucasus. In addition, aeolian dust aerosol transported from deserts turned out to be a significant pollutant and influenced the climate in Georgia. Indeed, the calculations of the WRF-Chem model showed that during the period under study, dust was transferred to the territory of Georgia equally from the deserts of Africa, the Middle East and Central (West) Asia. It should be noted that among them the transfer of dust from the Karakum and Kyzylkum deserts was recorded twice, the traces of which have not yet been recorded on the glaciers of the Caucasus (Elbrus and Kazbeg).

შ ი ნ ა ა რ ს ი

აბსტრაქტი

Abstract

შესავალი 13

თავი 1. პრობლემის ისტორიული ანალიზი და კვლევის ამოცანის დასმა. 18

1.1. რთული ოროგრაფიის პირობებში ექსტრემალური მეტეოროლოგიური პროცესების პროგნოზის თეორიული კვლევების მოკლე მიმოხილვა 18

1.2. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თეორიული კვლევების მოკლე მიმოხილვა. 24

თავი 2. ჰაერის მასების დინამიკა მთა-ხეობებში. 28

2.1. ზონალური ჰაერის ნაკადის რიცხვითი მოდელირება კავკასიის რეგიონისათვის. 28

2.2. ჰაერის ნაკადი იზოლირებული დაბრკოლების შემთხვევაში. 33

2.3. ჰაერის ნაკადის მოდელირება კავკასიის რეალური ტოპოგრაფიის შემთხვევაში. 35

2.4. ქარის რეჟიმი ქუთაისის მეტეოსადგურის მონაცემების მაგალითზე. 41

2.5. მეორე თავის დასკვნა. 56

თავი 3. რთული ოროგრაფიის პირობებში ლოკალური კონვექციური პროცესების შესწავლა WRF მოდელითა და Ready სისტემის გამოყენებით. 58

3.1. WRF მოდელის მონაცემები და მეთოდოლოგია. 58

3.2. რიცხვითი გათვლები WRF მოდელის პარამეტრიზაციის სქემების საშუალებით . 63

3.3. Ready სისტემის მონაცემები და მეთოდები. 71

3.4. Ready სისტემის აეროლოგიური დიაგრამებით ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობის შეწავლა. 81

3.5. საქართველოში მიმდინარე ზოგიერთი ექსტრემალური კონვექციური პროცესების განხილვა მეტეოროლოგიური რადარის მონაცემების საფუძველზე. 96

3.6. WRF მოდელისა და Ready სისტემის მიღებული შედეგების შედარება რადარის რეალურ მონაცემებთან. 103

3.7. მესამე თავის დასკვნა. 108

თავი 4. საქართველოს ტერიტორიაზე მტვრის ნაწილაკების მიგრაციის შესწავლა. 109

4.1. საქართველოს ტერიტორიაზე მტვრის ნაწილაკების მიგრაციის შესწავლა WRF-Chem მოდელით. 109

4.2. საქართველოში მტვრის ნაწილაკების გადატანის შესწავლა Hysplit მოდელით..	117
4.3. WRF-Chem v.3.6.1 და HYSPLIT მოდელის თვლით მიღებული შედეგების შედარება სატელიტურ CALIPSO და MODIS მონაცემებთან.	119
4.4. მეოთხე თავის დასკვნა.	126
დასკვნა	128
სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში გამოქვეყნებული სტატიები	132
გამოყენებული ლიტერატურა	133

აბრევიატურა

- ACM2**- Asymmetric Convective Model(ასიმეტრიული კონვექციური მოდელი)
ADA- Aeolian Dust Aerosol(საჰაერო მტვრის აეროზოლი)
AFWA- Air Force Weather Agency(საჰაერო ძალების ამინდის სააგენტო)
AOD- Aerosol Optical Depth
Aqua- Latin for water
ARL- Air Resources Laboratory(საჰაერო რესურსების ლაბორატორია)
ARW- Advanced Research WRF(WRF-ის მოწინავე კვლევები)
BE -Bias Error (მიკერძობის ცდომილება)
CALIOP- Cloud-Aerosol Lidar with Orthogonal Polarization (დრუბელ-აეროზოლ ლიდარი ორთოგონალური პოლარიზაციით)
CALIPSO- Cloud Aerosol Lidar, Infrared Pathfinder Satellite Observation(დრუბელ-აეროზოლ ლიდარი, ინფრაწითელი თანამგზავრული დაკვირვება)
CAPE- Convective Available Potential Energy(კონვექციური პოტენციური ენერჯია)
CAPS- Center for Analysis and Prediction of Storm(შტორმის ანალიზისა და პროგნოზის ცენტრი)
CCN- Giant Cloud Condensation Nuclei(გიგანტური ღრუბლის კონდენსაციის ბირთვები)
CINH- Convective Inhibition(კონვექციური ჩახშობა)
GOCART- Global Ozone Chemistry Aerosol Radiation and Transport(გოდარდის გლობალური ოზონის ქიმიური აეროზოლების რადიაცია და გადატანა)
DUSTGOCART/AFWA- Global Ozone Chemistry Aerosol Radiation and Transport of the Air Force Weather Agency
DUSTUOC- DUST from the University of Cologne
ECMWF ERA-European Centre for Medium-Range Weather Forecast.
EL- Equilibrium Level(წონასწორობის დონე)
ESRL- Earth System Research Laboratories(დედამიწის სისტემის კვლევის ლაბორატორია)
FAA- Federal Aviation Administration(ფედერალური ავიაციის სააგენტო)
GDAS - Global Data Assimilation System(გლობალურ მონაცემთა ასიმილაციური სისტემა)
GFDL- Geophysical Fluid Dynamics Laboratory(გეოფიზიკის სითხის დინამიკის ლაბორატორია)
GPSs- Convective Parameterization Schemes(კონვექციური პარამეტრიზაციის სქემები)
HYSPLIT- The Hybrid Single-Particle Lagrangian Integrated Trajectory model (ჰიბრიდული ერთ-ნაწილაკიანი ლაგრანჟის ინტეგრირებული ტრაექტორიის მოდელი)
LFC - Level of Free convection(თავისუფალი კონვექციის დონე)
LSM- Land Surface Model(დედამიწის ზედაპირის მოდელი)
LTD- Long-Traveled Desert Dust(გრძელ-მოგზაური უდაბნოს მტვერი)
MAX dBZ – Maximum Decibel (მაქსიმალური დეციბელი)
MCS- Mesoscale Convective System(მეზომასშტაბური კონვექციური სისტემა)
MM5- Mesoscale Model(მეზომასშტაბური მოდელი)
MODIS - the Moderate Resolution Imaging Spectroradiometer (ზომიერი რეზოლუციის გამოსახულების სპექტრორადიომეტრი)
MODIS AOD- Aerosol Optical Depth(აეროზოლების ოპტიკური სიღრმე)
MODIS L2 AOT- Moderate Resolution Imaging Spectroradiometer satellite aerosol optical thickness (აეროზოლების ოპტიკური სისქე)
MYNN- Mellor – Yamada – Nakanishi and Niino.
NAM- The North American Mesoscale Forecast System(ჩრდილოეთ ამერიკის მეზომასშტაბური საპროგნოზო სისტემა)
NCAR- National Center for Atmospheric Research(ატმოსფეროს კვლევის ეროვნული ცენტრი)
NCEP- National Centers for Environmental Prediction(გარემოს პროგნოზის ეროვნული ცენტრები)
NEA- Georgian National Environmental Protection Agency(საქართველოს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო)
NMM- Nonhydrostatic Mesoscale Model (არაჰიდროსტატიკური მეზომასშტაბური მოდელი)

NOAA-National Oceanic and Atmospheric Administration(ოკეანისა და ატმოსფეროს ეროვნული ადმინისტრაცია)
NRL- Naval Research Laboratory(ნავალის კვლევის ლაბორატორია)
PM10- Particulate Matter(ნაწილაკები)
RADA- Regional-Scale Aeolian Dust Aerosol(რეგიონალური მასშტაბის საჰაერო მტვრის აეროზოლი)
READY- Real-time Environmental Applications and Display System(რეალურ დროში გარემოს აპლიკაციისა და ჩვენების სისტემა)
RMSE- Root Mean Square Error(ფესვი საშუალო კვადრატული ცდომილებიდან)
RRTM- Rapid Radiative Transfer Model (სწრაფი რადიაციის გადაცემის მოდელი)
RUC - Rapid Update Cycle(სწრაფი განახლების ციკლი)
University of Cologne
UTC- Universal Time Coordinated(დროის უნივერსალური სისტემა)
WFC - The Wide Field Camera
WRF- Weather Research and Forecasting(ამინდის კვლევა და პროგნოზი)
WSM3- WRF Single Moment 3

შესავალი

საკვლევი პრობლემა - ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვნად გახშირდა საშიში მეტეოროლოგიური მოვლენები (თავსხმა წვიმები, სეტყვა, წყალდიდობები, ძლიერი ქარები). საქართველოს რელიეფის არაერთგავროვნებისა და რეგიონალური კლიმატის ცვლილების გამო რთულია ამ მოვლენების დროსა და სივრცეში პროგნოზირება. ამ მოვლენებიდან უმეტესობა დაკავშირებულია ფრონტალურ ატმოსფერულ პროცესებთან, თუმცა ხშირად ძალიან ძლიერი ატმოსფერული პროცესები უკავშირდება ლოკალურ (ადგილობრივ) კონვექციურ პროცესებს, როგორცაა, თავსხმა წვიმები, სეტყვა, წყალდიდობები, ქარბორბალები და ა.შ. გლობალური საპროგნოზო მოდელები ხშირ შემთხვევაში ზუსტად ვერ ასახავს მოსალოდნელი მეტეოროლოგიური პროცესის მთელ რიგ მახასიათებლებს, რეგიონალურ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობის გამო, თუმცა რელიეფის გავლენას მეტნაკლებად ითვალისწინებს, ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ რეგიონალური მოდელები. თუმცა მხოლოდ რელიეფის გავლენის შედარებით სრულყოფილი გათვალისწინება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ზუსტად ვიწინასწარმეტყველოთ ატმოსფერული პროცესის თუნდაც სიმძლავრე, რადგან ატმოსფერული პროცესის ორივე ტიპის შემთხვევაში (ფრონტალური, ადგილობრივი), მეტად მნიშვნელოვანია ატმოსფეროს თერმოდინამური მდგომარეობის შეფასება, იმიტომ რომ, ატმოსფერული პროცესის განვითარების ხარისხი რელიეფის გარდა მნიშვნელოვნად დაკავშირებულია სწორედ ატმოსფეროს თერმოდინამიკურ მდგომარეობასთან. ამ პრობლემის გადაწყვეტა კიდევ უფრო რთულია იმ შემთხვევაში თუ ატმოსფერო (ტროპოსფერო) დაბინძურებულია მავნე ნივთიერებებით, კერძოდ, ეს ნივთიერებები ღრუბლებში მოხვედრის შემთხვევაში წარმოადგენენ კონდენსაციის ბირთვებს, რაც უმეტესად იწვევს უხვნალექიან და სეტყვასაშიში ღრუბლების ჩამოყალიბებას. ამიტომ ამინდის საპროგნოზო მოდელებში მნიშვნელოვანია აგრეთვე გათვალისწინებული იყოს ჰაერის დაბინძურების ხარისხი.

კვლევის მნიშვნელობა/აქტუალობა - საშიში მეტეოროლოგიური პროცესების წინასწარმეტყველება ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და არის რეგიონალური და გლობალური მასშტაბებით. მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ორგანიზაციები მუშაობენ სხვადასხვა ტიპის ამინდის და კლიმატის საპროგნოზო მოდელების გაუმჯობესებაზე, შეიქმნა მრავალი ატმოსფეროს დინამიკის საპროგნოზო გლობალური მოდელი, თუმცა ჯერჯერობით არ არსებობს არცერთი რეგიონალური საპროგნოზო მოდელი, რომელიც ზუსტად გაითვალისწინებს საქართველოს კლიმატურ და ოროგრაფიულ თავისებურებებს. განსაკუთრებით ეს საკითხი კვლავ გააქტიურდა 2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიის შემდეგ, როდესაც თავსხმა წვიმისა და მოვარდნილი ღვარცოფის შედეგად დაიღუპნენ ადამიანები, დაიხოცნენ ცხოველები და ფრინველები. თუმცა თუ გადავხედავთ 2015 წლიდან დღემდე მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში თუნდაც მხოლოდ მატერიალური ზარალის სტატისტიკას, ვნახავთ, რომ თავსხმა ნალექების და სეტყვის შედეგად ზარალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კახეთის რეგიონში. რეალურად ლოკალურ ატმოსფერულ პროცესებზე მეცნიერული დაკვირვება შესაძლებელი გახდა 2015 წლიდან, სიღნაღის მეტეოროლოგიური რადარის დაკვირვების მონაცემების ანალიზის შედეგად. ბოლო 7 წლის სტატისტიკა აჩვენებს, რომ გლობალურ საპროგნოზო მოდელებს შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ მხოლოდ ფრონტალური ატმოსფერული პროცესები, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც (გლობალურ საპროგნოზო მოდელების უმეტესობის სიზუსტე დაახლოებით 70%-ის ფარგლებში მერყეობს). ხოლო ლოკალური ატმოსფერული პროცესების წინასწარმეტყველება გლობალური მოდელებით თითქმის შეუძლებელია (მათ შორის 2015 წლის 13 ივნისი). ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონალური საპროგნოზო მოდელის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა და ლოკალური კონვექციური პროცესების შეფასება ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობის შესაბამისად. ამავდროულად, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია შეფასდეს ატმოსფეროს დაბინძურების ხარისხი, რომელიც ხელს უწყობს არაორდინალური ატმოსფერული პროცესების განვითარებას. საქართველოსთვის მყარი ნაწილაკების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საჰარის უდაბნოს მტვერი.

აღნიშნული მტვრის შტორმი ხშირად ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან. დაბინძურებული ჰაერი განსაკუთრებით საშიშია ადამიანების ჯანმრთელობისათვის. მას უკავშირდება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, ისეთი სისტემების დაზიანება, როგორებიცაა: რესპირატორული, ნერვული და გულ-სისხლძარღვთა. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, მხოლოდ 2014 წელს, ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული დაავადებებით 7 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა. გარდა ამისა, ატმოსფეროში მავნე მინარევების არსებობა მნიშვნელოვნად ზრდის ექსტრემალური მეტეოროლოგიური პროცესების სიხშირეს, განსაკუთრებით ამ მხრივ მნიშვნელოვანია თავსხმა წვიმა და სეტყვა. ჰაერში არსებული მყარი მინარევები ხშირ შემთხვევაში წარმოადგენენ კონდენსაციის ბირთვებს, რაც მეტნაკლებად განსაზღვრავს ღრუბლის სიძლიერეს და მისი სეტყვასაშიშროების ხარისხს. სეტყვა დიდ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით ზიანდება კახეთის რეგიონი, სადაც ერთერთი წამყვანი მიმართულებაა მევენახეობა. მეტეოროლოგიური რადარის მონაცემების მიხედვით ბოლო ხუთ წელიწადში სეტყვასაშიშროების დღეების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, რაც უშუალოდ უკავშირდება ატმოსფეროს დაბინძურებას მყარი მინარევებით.

კვლევის მიზანი - ნაშრომის კვლევის მიზანია შევისწავლოთ არაორდინალური, რეგიონალური მასშტაბის, ატმოსფერული პროცესების დინამიკა საქართველოს რთული ოროგრაფიული პირობების გათვალისწინებით და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი მავნე ნივთიერებათა მიგრაციის, დალექვისა და გარემოზე ზემოქმედების აქტუალური საკითხები.

ჰიპოთეზა ან/და საკვლევი საკითხები - აღნიშნული მიზნის მისაღწევად განხორციელდა შემდეგი საკითხების კვლევა.

რიცხვითი მოდელირებით შესწავლილ იქნა მეტეოროლოგიური ველების ცვლილების საკითხი ატმოსფეროს ქვედა ფენაში (ტროპოსფეროში), როცა ატმოსფერული მასები გადაადგილდებოდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვისკენ და პირუკუ დედამიწის ზედაპირის რელიეფის არაერთგვაროვანებისა და არამდგრადი ფართომასშტაბიანი ნაკადების გათვალისწინებით. შესწავლილ იქნა ჰაერის ნაკადის

ყოფაქცევა როგორც იზოლირებული, ხელოვნური დაბრკოლების, ასევე კავკასიის რეალური ტოპოგრაფიის შემთხვევაშიც.

დისერტაციაში იმერეთის რეგიონის ძლიერი ქარების რეჟიმი და სტატისტიკური მახასიათებლები შესწავლილია ქუთაისის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების საფუძველზე. 1960-2021 წ.წ. პერიოდისათვის ქარის სიჩქარეები დაყოფილია 5 მ/წმ შუალედებად და თითოეული შუალედისთვის შესწავლილია ქარის სიჩქარეთა განმეორებადობა თვეებისა და წლების მიხედვით. ნაჩვენებია ქარის სიჩქარეთა გრადაციების პროცენტული განაწილება და შეფასებულია ქუთაისის რეგიონისთვის წამყვანი ქარის სიჩქარის ინტერვალი, რის საფუძველზეც შესწავლილია რეგიონის ენერგოეფექტურობა. ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით ნაჩვენებია ქარის სიჩქარის საშუალო მნიშვნელობების ცვლილება წლებისა და თვეების მიხედვით. შესწავლილია თერმული და დინამიკური მდგრადობის კოეფიციენტების ცვლილება.

მეტეოროლოგიური რადარის მონაცემების საფუძველზე შესწავლილ იქნა 2015-19 წლებში საქართველოში დაფიქსირებული ძლიერი მეტეოროლოგიური პროცესების რამოდენიმე შემთხვევა (როდესაც ადგილი ჰქონდა თავსხმა წვიმასა და სეტყვას) როგორც WRF მოდელის, ასევე READY სისტემის საშუალებით. ამინდის კვლევისა და პროგნოზირების (WRF)v.3.6 მოდელის რიცხვითი გათვლების შედეგები და READY-ით მიღებული მონაცემები შეფასებულ იქნა მეტეოროლოგიური რადარის რეალური მონაცემებით. ყოველი საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების შემთხვევაში შეფასდა ატმოსფეროს თერმოდინამიკული მდგომარეობა მისი ენერგეტიკული მახასიათებლების საშუალებით. შემუშავებულია საშიში ლოკალური ატმოსფერული პროცესების პროგნოზირებისთვის რეკომენდაციები.

ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და ცენტრალური აზიის უდაბნოებიდან საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ნაკადებით მტვრის მიგრაციის შესწავლის მიზნით ეილერისა და ლაგრანჟის ცვლადებიან მოდელებთან ერთად გამოყენებულ იქნა დისტანციური ზონდირების პროდუქტები Cloud Aerosol Lidar, Infrared Pathfinder Satellite Observation (CALIPSO), the Moderate Resolution Imaging Spectroradiometer (MODIS) და მტვრის PM10 გაზომილი რეალური მონაცემები. WRF-

Chem და HYSPLIT რიცხვითი მოდელების თვლის შედეგებისა და CALIPSO, MODIS და PM10 მონაცემების ურთიერთ შედარებამ აჩვენა, რომ შესწავლილი პერიოდის განმავლობაში, მტვრის გადატანა საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებდა თანაბრად აფრიკის, შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური (დასავლეთი) აზიის უდაბნოებიდან რაც სიახლეა.

თავი 1. პრობლემის ისტორიული ანალიზი და საკვლევო ამოცანა.

1.1 რთული ოროგრაფიის პირობებში ექსტრემალური მეტეოროლოგიური პროცესების პროგნოზის თეორიული კვლევების მოკლე მიმოხილვა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად გახშირდა ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენები (თავსხმა წვიმები, სეტყვა, ძლიერი ქარები). საქართველოს რთული რელიეფის პირობების შესაბამისად გახშირდა ისეთი მეტეოროლოგიური პროცესები რომელთა არამარტო გრძელვადიანი, არამედ მოკლევადიანი პროგნოზირებაც საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. ამ ატმოსფერული მოვლენების ძირითადი ნაწილი ლოკალური ხასიათისაა და ძირითადად დაკავშირებულია ჰაერის მასების კონვექციურ მოძრაობასთან. ამიტომ ატმოსფეროს ფიზიკის დღის წესრიგში დგება საკითხი დროის მოკლე პერიოდში შესრულდეს პროგნოზი ლოკალურ ტერიტორიაზე მიმდინარე კონვექციური პროცესების შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ყოველი კონკრეტულ ტერიტორიისათვის ჰაერის დინამიკასთან ერთად შევისწავლოთ ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა და დავადგინოთ ატმოსფეროს არასტაბილურობის ხარისხი (Позднякова, 2010).

ატმოსფერული პროცესების დინამიკაზე რელიეფის გავლენის შესწავლას მიეძღვნა მრავალი მნიშვნელოვანი შრომა, როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში (Smith, 1979; Diodato, 2005; Finardi & Morzeli, 1997; Давицашвили, 1988; Kordzadze & Demetrashvili, 2000; ხვედელიძე, 2002; Surmava, 2000). მაგალითად, (Smith, 1979) გამოკვლეულია მიწისპირა ფენაში რელიეფის გავლენა როგორც ფერდობის, ასევე მთა-ხეობის ქარისათვის და განხილულია ნალექების განაწილების კანონზომიერებანი მცირე სიმაღლის რელიეფის შემთხვევაში. ასევე გეოინფორმაციული სისტემების დახმარებით შესწავლილ იქნა რელიეფის გავლენა ატმოსფეროს ცირკულაციაზე, დედამიწაზე ნალექების ცვალებადობასა და კლიმატის ცვლილებაზე, და მიღებული შედეგები შედარებულ იქნა სამხრეთ იტალიის მთიანი რეგიონებისათვის რეალურ გაზომილ მონაცემებთან (Diodato, 2005). განსხვავებული ოროგრაფიის პირობებში (მარტივი,

რთული და ძალიან რთული) ატმოსფეროში ქარის გავლენით გაფრქვეული დამაბინძურებელი ნივთიერებების გავრცელება შესწავლილია 2-დან 200 კმ რადიუსში და გამოკვლეულია ქარის ველის სივრცული განაწილება, განსხვავებული საწყისი სასაზღვრო პირობებით, როგორც წრფივი, ასევე მასის შენახვისა და ჰიდროსტატიკური მოდელებით, რითაც განსაზღვრულია მავნე ნივთიერებების გავრცელების მიმართულება (Finardi & Morzeli, 1997).

კვლევებმა აჩვენა, რომ ნოტიო ჰაერის მასების გადაადგილება მთებსა და ბორცვებზე იწვევს სხვადასხვა სახის ღრუბლების წარმოქმნას და შესაბამისად ნალექების განაწილების მრავალფეროვნებას მთელს დედამიწაზე. ჰაერის ნაკადის მთებზე გადადინებისას უმთავრესად ქარი იცვლის როგორც მიმართულებას, ასევე სიძლიერესა და შინაგან არასტაბილურობას, რაც ძირითადად განსაზღვრავს ამ ადგილის ლოკალურ კლიმატის თავისებურებას (Robert & Houze, 2012).

გლობალური და რეგიონალური კლიმატი არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ბუნებრივი გარემოს ჩამოყალიბებაში, მცირე მასშტაბების შემთხვევაშიც კი ოროგრაფიული მრავალფეროვნება იწვევს ატმოსფეროში ენერჯის არაერთგვაროვან განაწილებას. მთაგორიანობის დინამიკურ მახასიათებლებს აქვთ დიდი მნიშვნელობა რეგიონალურ და ლოკალურ ჰაერის ნაკადებზე, რაც გავლენას ახდენს მიმდინარე რეგიონის კლიმატზე. ფერდობის კლიმატი კი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მთა-ხეობათა კლიმატისაგან და ეს გავლენა შეიძლება იგრძნობოდეს ასობით და ათასობით კილომეტრებზეც კი. ასეთ კლიმატური განსხვავება ძირითადად დამოკიდებულია ჰაერის მასების მიმართულებაზე, მასშტაბზე, ფერდობის დახრილობაზე, აგრეთვე ადგილმდებარეობაზე (გრძედი, განედი), რელიეფის ზომაზე და დამატენიანებელ-დამაბინძურებელ წყაროს სიძლიერეზე. მაგალითად, (Martin et.al., 2013) გამოკვლეულია ძირითადი მეტეოროლოგიური პარამეტრების (ტემპერატურა, წნევა, ტენიანობა) ცვალებადობა მთაგორიანობის გავლენით, სადაც ასევე გათვალისწინებულია ძირითადი მეტეოროლოგიური მოვლენების (ღრუბლიანობა, ნალექები რადიაცია) ზემოქმედება. თითოეული შემთხვევაში შესწავლილია ოროგრაფიის როლი გლობალური მასშტაბის ზომიერი ან მუსონური მოძრაობების,

სინოპტიკური მასშტაბის ციკლონური ან ანტიციკლონური მოძრაობების, ხმელეთისა და ზღვის ბრიზების, ლოკალური მასშტაბის მთისა და ხეობის ცირკულაციური მოძრაობების გაძლიერებაში (Yoshino, 1981). ნაჩვენებია, რომ ოროგრაფიის გავლენა ძირითადად დამოკიდებულია მის სიმაღლეზე, ფერდობის დახრის კუთხეზე და აგრეთვე მნიშვნელოვან ტოპოგრაფიულ ელემენტებზე, როგორცაა, მთის მასივის სიგანე, მისი ორიენტაცია, მთის ფორმა და დაბლობისა ან ხეობის განფენილობა (Yoshino, 1981). კვლევებმა აჩვენეს, რომ რთული ოროგრაფიის გავლენა ატმოსფერულ პროცესებზე დაკავშირებულია თერმული და დინამიკური პარამეტრების განაწილებაზე, რაც იწვევს ჰაერის მასების არათანაბრობას ოროგრაფიის გასწვრივ, რის შედეგადაც ადგილი აქვს სხვადასხვა სახის ღრუბლების წარმოქმნას (Hernandez & Diaz, 1995).

ატმოსფერულ პროცესებზე რელიეფის გავლენის შესწავლა ძირითადად დაიწყო ცნობილი მეცნიერების ნ. კოჩინის (Кочин, 1937), ა. დოროდნიცინის (Дородницын, 1940; Дородницын, 1950), პ. კენის (Quency, 1948), რ. შკორერის (Scorer, 1949; 1953; 1954) და ი. კიბელის (Кибел, 1955) გამოკვლევების საფუძველზე. მათ შრომებში რელიეფისა და ჰაერის ნაკადის ურთიერთქმედება წარმოდგენილია ტალღურ პროცესის სახით. ხოლო შემდეგი კვლევები განხორციელდა ვ. კოჟევნიკოვის (Кожевников, 1963; 1968), ე. პეკელისის (Пекелис, 1966; 1969), რ. ლონგის (Long, 1954; 1955), ი.სოიერის (Sawer, 1960), ა.კლაუსის (Claus, 1964) და სხვა. მათ შრომებში ნაჩვენებია, რომ რელიეფის არაერთგვაროვნება იწვევს ქარზურგა ტალღების ინდუცირებას, რომლებიც ზედა ტროპოსფეროში იწყებენ გავრცელებას, როგორც ჰორიზონტალური ისე ვერტიკალური მიმართულებით.

მრავალი წლების განმავლობაში, მეცნიერების ყურადღება მიმართული იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის ამინდის მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგნოზირების საკითხების გადაჭრაზე. ეს პრობლემა თავისებურ ინტერესს და განსაკუთრებულობას იძენს ლოკალურ-რეგიონალური ფიზიკური პირობების გათვალისწინებისას. ამ პირობებიდან უმნიშვნელოვანესია დედამიწის რელიეფის გავლენის გათვალისწინება. რელიეფის გავლენის ფიზიკურ-დინამიკური ეფექტები,

რომლებიც ცვლიან მეტეოროლოგიური ელემენტების ევოლუციის ხასიათს, დიდი ხანია მეცნიერთა ინტერესის სფეროში მოხვდა. ი. კიბელი იყო ერთ-ერთი პირველი მკვლევარი ამ მიმართულებით (Кибель, 1973). შემდეგი გამოკვლევები შესრულებული იყო ა. დოროდნიცინის (Дородницын, 1950), გ. ბიკოვის (Белов, 1975; Быков, 1962), ვ.სადოკოვის (Садоков, 1984), შ. მუსელიანის, ვ. კოჟევნიკოვის (Кожевников, 1968), ს.გუნიას (Гуния, 1958), რ. ნოზაძის (Микашавидзе & Нозадзе, 1969), ზ. ხვედელიძის (ხვედელიძე, 2002), თ. დავითაშვილის (Давиашвили, 1988), დ. დემეტრაშვილის (Kordzadze & Demetrashvili, 2000), ა. სურმავას (Surmava, 2000) და სხვების მიერ იქმნებოდა და პრაქტიკაში რეალიზირებული ხდებოდა მრავალი სახის რიცხვითი სქემები რელიეფის გავლენის გათვალისწინებით.

ცნობილია რომ, მეტეოროლოგიური ელემენტების ცვალებადობა ვლინდება ჰაერის მასების, ფრონტების, წყვეტის ზედაპირების, ციკლონების, ანტიციკლონების ზღვიდან ხმელეთზე, დაბლობიდან მთიან რაიონებსა და პირიქით გადაადგილებისას (Давиашвили et al., 1979; 1987). ზღვები, მდინარეთა ხეობები, წყალსაცავები, დიდი ქალაქის კონფიგურაციები გავლენას ახდენენ მათ ზედაპირზე გადანაცვლებულ ჰაერის მასათა ტალღურ ბუნებაზე. თვით იმ ფაქტორების დასახელებაც კი, რომლებიც განაპირობებენ მეტეოროლოგიური ელემენტების ცვლილების ხასიათს ხაზს უსვავს ადგილობრივი რელიეფური თავისებურებების მნიშვნელობას (Давиашвили et al., 1987). მსოფლიოს მეცნიერთა გვერდით, მეტეოროლოგიური სიდიდეების ევოლუციის შესწავლის საკითხებში, ფართო მონაწილეობას ღებულობენ ქართველი მეცნიერები. ერთ-ერთი პირველი იყო პროფ. ს. გუნია (Гуния, 1958), რომელმაც შეიმუშავა დენის ფუნქციის გამოსათვლელი რიცხვითი სქემები ამიერკავკასიისათვის. დ.ნოზაძემ და მისმა თანამშრომლებმა დაამუშავეს ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის რიცხვითი სტატისტიკური პროგნოზის სხვადასხვა ვარიანტები; ი.ჩიგოვამემ და ბ. მიქაშავიძემ (Микашавидзе, 1969) შექმნეს ნალექების პროგნოზირების რიცხვითი სქემები, რომლებიც დანერგული იყო ოპერატიულ პრაქტიკაში. ზ. ცქვიტინიძემ შეიმუშავა სქემა ნახევარსფეროსათვის (ბაროტროპიული მოდელი) (Цквитиანიძე, 1974); ი. სულაქველიძემ- ნალექების პროგნოზის სქემა (Сулаквелиძე, 1988); ატმოსფეროს

გეოპოტენციალის პროგნოზული სქემა ბაროტროპიული ატმოსფეროსათვის, რომელშიც ოროგრაფიის გავლენა იყო ჩართული, შექმნეს და ოპერატიულ პრაქტიკაში დანერგეს ზ. ხვედელიძემ, თ. დავითაშვილმა, პ. ჯანელიძემ (Давиашвили et al., 1979; 1987)); აღსანიშნავია ასევე ზ. ხვედელიძისა და ზ. გეწაძის (Хведелидзе & Ецадзе, 1987) სქემა თავისუფალ კონვექციაზე; ზ. ხვედელიძის, ჯ. დოლოძისა და დ. ჩიტაღაძის მიერაა შექმნილი ნალექების სინოპტიკურ სტატისტიკური პროგნოზი აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონისათვის (Khvedelidze et. al., 2004). ი. ალადაშვილის და ზ. ხვედელიძის მიერ შემუშავებულ იქნა ჰაერის მინიმალური ტემპერატურის განსაზღვრის მეთოდები (ხვედელიძე & ალადაშვილი, 2002). აღსანიშნავია, რომ თ. დავითაშვილმა შეიმუშავა ამინდის მოკლევადიანი პროგნოზის რიცხვითი მოდელი ამიერკავკასიის ტერიტორიისათვის, რომელიც კორექტულად ითვალისწინებდა ამიერკავკასიის რთულ ოროგრაფიას ერთმანეთში ჩადგმული ბადეთა მეთოდის გათვალისწინებით (Давиашвили, 1985), ასევე მის მიერაა შემოთავაზებული ტელესკოპიზაციის ახალი მეთოდი ერთმანეთში ჩადგმულ ბადეებს შორის კომპლექსური ურთიერთგავლენის გათვალისწინებით (Давиашвили, 1988; 1996). ცალკე აღსანიშნავია ა. კორძაძის (Корძაძე, 1977), დ. დემეტარშვილის, ა.სურმაგას (სურმაგა, 2001), თ.დავითაშვილის (Давиашвили,1988) და სხვათა შრომები, რომლებიც ეძღვნება ამიერკავკასიაზე მეტეოროლოგიური ელემენტებისა ტალღური მოძრაობის ცლილების შესწავლას რიცხვითი მეთოდების საშუალებით.

ჰაერის მასათა გადაადგილებისას ატმოსფეროში ტალღური პროცესების, ფრონტებისა და ფრონტალური ზედაპირების თვისებები მკვეთრად არის დაკავშირებული ტურბულენტობასთან. სხვადასხვა მასშტაბების ხვეულები განუწყვეტლივ წარმოიშობიან ძირითადი მოძრაობის დარღვევის შედეგად. ნაკადიდან მოწყვეტის შემდეგ ხვეულები თავიანთი ენერჯიის გამო ღებულობენ გამოკვეთილ ბუნებრივ სახეს და რა თქმა უნდა მოქმედებს, როგორც ძირითად ნაკადთან, ისე სხვა გრიგალურ წარმონაქმნებთან. ასეთი პროცესი გრძელდება მანამ , სანამ ხვეულების ზომები იმდენად არ შემცირდება, რომ მათ შორის იმოქმედებს მოლეკულური

ურთიერთქმედების ძალები, რის შედეგადაც ხდება ამ ხვეულების სრული დისოციაცია (Demetrashvili and Davitashvili, 2013; Davitashvili, 1996).

ტურბულენტური მოძრაობის ძირითადი როლი მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ მისი საშუალებით ხორციელდება ატმოსფეროსა და ხმელეთის ზედაპირს შორის მრავალსახა ურთიერთქმედება. აქედან გამომდინარე ტურბულენტობის მნიშვნელობა განსაკუთრებას იძენს ისეთ რთულ და ფიზიკურ-გეოგრაფიულ რეგიონებზე, როგორცაა საქართველოს ტერიტორია, რომელიც დასერილია ასობით მდინარის ხეობებით, ათეულ მთათა სისტემით, მნიშვნელოვანი დაბლობებით, ტყის დიდი მასივით, თოვლიანი ზედაპირებით და შავი და კასპიის ზღვების უშუალო სიახლოვით. ამიტომ ტურბულენტური მოძრაობის მათემატიკური აღწერა და მისი გათვალისწინება ჰიდროდინამიკის განტოლების ამოხსნაში, უთუოდ აზუსტებს რელიეფური ფაქტორების გავლენის ბუნებას. ტურბულენტობის თეორიის განვითარებაში და მისი ატმოსფერული პროცესების შესწავლა – გამოყენებაში დიდი წვლილი მიუძღვის ი. კოლმოგოროვს, ა. ოზუხოვს, დ. ტეილორს, ა.მონინს და სხვებს.

სამეცნიერო ტექნიკურმა პროგრესმა და ენერჯის მოხმარების მაღალმა ტემპმა განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებში, აქტუალური გარემოს დაცვის, კერძოდ, ატმოსფეროს მავნე მინარევებისა და გამონაბოლქვებისაგან გაჭუჭყიანების პრობლემა. ცნობილი მეცნიერი ბერლიანდი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ საჰაერო აუზის მავნე ნივთიერებებით გაჭუჭყიანების ხარისხი დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექნოლოგიურ და კონსტრუქციულ პარამეტრებზე (მაგ. წყაროს სიმაღლე და, სიმძლავრე, გამონაბოლქვის ტემპერატურა სხვა), არამედ ისეთ ფაქტორებზეც როგორცაა ქარის სიჩქარე, ატმოსფეროს სტრატეფიკაცია, ოროგრაფია და სხვა, ამიტომ ბოლო ხანებში საქართველოს ტერიტორიისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოს დაჭუჭყიანების მეტეოროლოგიური ასპექტების შესწავლას, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით (Davitashvili and Khantadze, 2004; 2008; Gordeziani et al, 2000; Davitashvili and Gordeziani, 2000)

1.2 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თეორიული კვლევების მოკლე მიმოხილვა.

აეროზოლების შემცველობის მატება ატმოსფეროში წარმოადგენს კლიმატის ცვლილების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს (Solomon et al., 2007). ხოლო მტვერი (ძირითადად წარმოიქმნება ეროდირებადი ნალექებისა და უდაბნოების ქარიშხლების დეფლაციიდან) და კვამლი (ძირითადად ბიომასისა და ნავთობპროდუქტების წვის გამო) წარმოადგენენ ატმოსფერული აეროზოლის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტებს (Choobari et.al., 2014). თავის მხრივ მინერალური მტვერი (ძირითადად უდაბნოების ქარიშხალიდან მოდის) ლიდერობს ბუნებრივ აეროზოლებში, რადგან აეროზოლების გლობალური მასის 75% მინერალური მტვერია (Ginoux et al., 2012). დედამიწის კლიმატურ სისტემაში მინერალური მტვრის როლს აძლიერებს მისი აქტიური მონაწილეობა ყველა მასშტაბის ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოგეოქიმიურ პროცესებში (Shao et.al., 2011a. Rizza et. al., 2017). კერძოდ, ატმოსფერული მტვრის აეროზოლი (ამა) ფანტავს და შთანთქავს მოკლე ტალღების გამოსხივებას და ამით გავლენას ახდენს ატმოსფეროს გამოსხივების ბალანსზე, ხილვადობაზე, ღრუბლებზე და ნალექების წარმოქმნაზე (Charlson et. al., 1992; Kim et.al., 2001) გარდა ამისა, ამა ატმოსფეროს (ღრუბლების) მოლეკულურ და იონურ სტრუქტურებს ცვლის (ალაგებს) ქიმიური რეაქციების საშუალებით. დაბინძურებული ადგილების გავლით, ამა (გოგირდით დაფარული ქიმიური რეაქციების გამო) შეიძლება გახდეს გიგანტური ღრუბლის კონდენსაციის ბირთვები (ღკმ), რაც აძლიერებს წვეთების შეჯახებას და შეერთებას და, შესაბამისად, ზრდის თბილი ნალექების წარმოქმნას (Charlson et. al., 1992).

ამასთან ერთად სატელიტურმა, საჰაერო და ლაბორატორიულმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ამა–ს ასევე შეუძლია ნალექების თავიდან აცილება (Rosenfeld at.al., 2001). მართლაც, ამა–ს შეუძლია ნალექების ჩახშობა თბილ ღრუბლებში, ღრუბლის კონდენსაციის ბირთვების რაოდენობის გაზრდით (Hui et.al., 2008) და მიუხედავად იმისა, რომ მტვრის მავნე ზემოქმედება ნალექებზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე კვამლის ზემოქმედებით გამოწვეული. ღრუბლებში ამა–ს დიდმა რაოდენობამ შეიძლება გამოიწვიოს ნალექების შემცირება (Rosenfeld at.al., 2001). ამრიგად, ამა

გავლენას ახდენს ატმოსფეროს შემადგენლობაზე არა მხოლოდ ფიზიკური ზემოქმედებით, არამედ ქიმიურ რეაქციებში მონაწილეობით. იგივე, ღრუბლებში დალექვის შემთხვევაში, ამა ადიდებს ღრუბლის ბირთვს, ცვლის ღრუბლების ალბედოს, ცვლის ღრუბლების ოპტიკური თვისებებს. ამრიგად, ამა ქმნის დაბრკოლებებს ღრუბლების წარმოქმნისა და ნალექების ნორმალური ფორმირებისთვის და ამით ირიბ გავლენას ახდენს კლიმატზე (Andreae & Rosenfeld, 2008).

დედამიწაზე მშრალი რეგიონები (მცირე ნალექებით) კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე ადგილებია, რადგან მათ უფრო მეტი საფრთხე ემუქრებათ (გასულ საუკუნეში გლობალურ მშრალ რეგიონებში ზედაპირული დათბობა 20–40%-ით მეტი იყო, ვიდრე მაღალი ტენის შემცველ რეგიონებში) მათ შორის აღსანიშნავია გლობალური გაუდაბნოების დაჩქარება (Huang et.al, 2016; 2017; 2012). დედამიწაზე მშრალი რეგიონების გაზრდა მოხდა ნახევრად მშრალ რეგიონებში 1960-იანი წლებიდან, როდესაც ნახევრად მშრალი რეგიონების ფართობი 1990–2004 წლებში 7%-ით გაიზარდა 1948–1962 წლებთან შედარებით, კლიმატის ცვლილების ან სხვა ფაქტორების გამო. მაგალითად, კლიმატის ცვლილება აღმოსავლეთ აზიის ნახევრად მშრალი რეგიონებში, პირველ რიგში, განპირობებული იყო აღმოსავლეთ აზიის ზაფხულის მუსონის შესუსტებით (Huang et.al., 2016). როგორც წესი, დედამიწაზე უდაბნოების მიმდებარე მშრალი და ნახევრად მშრალი რეგიონები ყველაზე ხშირად განიცდიან მტვრის ქარიშხალებს, თუმცა მეზობელი რეგიონები ასევე არ არის დაცული ძლიერი ქარიშხლებით მტვრის გადატანისგან (Huang et.al., 2010). მართლაც, კვლევებმა აჩვენა, რომ აფრიკის უდაბნოებიდან ძლიერი ქარი ატმოსფეროში დიდი რაოდენობით მტვერს გადაიტანს, თუმცა აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 30% ხელახლა ბრუნდება უდაბნოებში, 20% ტრანსპორტირდება რეგიონალური მასშტაბით, ხოლო დაახლოებით 50% გადადის ატლანტის ოკეანეზე და წყნარი ოკეანეების გარეთ (Huang et.al., 2010; Zhang et.al., 1997). რაც შეეხება მტვრის მიგრაციას ჩრდილოეთ აფრიკიდან, ბოლოდროინდელი კვლევის თანახმად, საჰარიდან იფრქვევა ყოველწლიურად დიდი რაოდენობის მინერალური მტვერი წელიწადში და მისი გავრცელების ძირითადი

მიმართულებებია: ატლანტის ოკეანის გადაღმა შეერთებული შტატები, კარიბის ზღვისპირეთი და სამხრეთ ამერიკა, ხმელთაშუა ზღვას და ევროპა, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი, შუა აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი აზია.

რეგიონალური მასშტაბის მტვრის აეროზოლი (რმმა) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გვალვაზე, გაუდაბნოების პროცესებზე და, ზოგადად, კლიმატურ პირობებზე მშრალ და ნახევრადმშრალ რეგიონებშიც (Han et. al., 2008; Wang et.al., 2008). გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორია მიეკუთვნება რმმა-ს მიერ დაზარალებულ რეგიონებს, რომლებშიც მტვერი ძლიერი ქარის გამო აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის უდაბნოებიდან ტრანსპორტირდება (Shahgedanova et. al., 2013; Kutuzov et. al., 2014., Davitashvili and Samkharadze, 2021) მიუხედავად იმისა, რომ მტვერი საქართველოში ერთ-ერთი მთავარი დამაბინძურებელია (საქართველოს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით), რმმა-ს უდაბნოებიდან საქართველოში გადატანა ჯერ არ არის ჯეროვნად შესწავლილი (Davitashvili and Samkharadze, 2021). მცინვარებში უდაბნოს მტვრის (შპს) ნიმუშების ანალიზის საფუძველზე, კარგადაა შესწავლილი ევროპის ალპებში რმმა-ს მისი წარმოშობის საკითხი და ქიმიური მახასიათებლები (Schwikowski et. al., 1999; Grousset et. al., 2003; Sodemann et. al., 2006), დასავლეთ და ცენტრალურ აზიაში (Eghbali et.al., 2016; Dong et. al., 2009; Prasad et. al., 2009), ჰიმალაის და ტიბეტის პლატო (Kang et. al., 2010; Li et. al., 2011), ხმელთაშუაზღვის რეგიონი (Erel et. al. 2006), კავკასია (Shahgedanova et. al., 2013; Kutuzov et. al., 2014; Mikhalenko et. al., 2015; Kutuzov et. al., 2016; Davitashvili et al., 2018; 2019). LTD, რომელმაც კავკასიის ტერიტორიას მიაღწია, რუსეთში მთა ელბრუსის მწვერვალზე აღმოაჩინეს. (Shahgedanova et. al., 2013; Kutuzov et. al., 2014) და მთა ყაზბეგის მწვერვალზე საქართველოში (Kutuzov et. al., 2016).

მტვრის ნაწილაკები მთა ელბრუსზე (5115 მ.ზ.დ) ნაპოვნია ყინულის ბირთვებში, რომელიც მოპოვებულია სამეცნიერო ექსპედიციების მიერ 2009, 2012 და 2013 წლებში. მიღებული მასალების ანალიზმა აჩვენა, რომ მტვერი წელიწადში 3-7-ჯერ ვრცელდება ძირითადად შუა აღმოსავლეთის უდაბნოებიდან და, შედარებით იშვიათად ჩრდილოეთ საჰარიდან. კერძოდ, ნიმუშების იზოტოპურმა ანალიზმა აჩვენა, რომ

მტვრის აეროზოლების მიმართულებების 17 შემთხვევიდან, 13 ნიმუში მოდის შუა აღმოსავლეთიდან გავრცელებულ მტვერზე და მხოლოდ 4 ნიმუში საჰარის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან (Kutuzov et. al., 2014). ყაზბეგის მყინვარიდან (4500 მ სიმაღლეზე) მოპოვებული ყინულის ბირთვის (18 მ) ანალიზმა, რომელიც ჩატარდა ელექტრონული მიკროსკოპის და რენტგენის დიფრაქციის სკანირებით, აჩვენა, რომ ადგილობრივი წარმოშობის მტვერთან ერთად, ასევე იყო მტვერი, რომელიც მხოლოდ შუა აღმოსავლეთისა და საჰარის უდაბნოებიდან იყო გადატანილი (Kutuzov et. al. 2016). უნდა აღინიშნოს, რომ მთ. ყაზბეგი მდებარეობს საქართველოს ტერიტორიის ჩრდილოეთ საზღვარზე, ხოლო შესაბამისი კვლევა საქართველოს ტერიტორიაზე LTD-ს გადატანის მარშრუტების შესწავლასთან დაკავშირებით ჯერ არ ჩატარებულა სათანადო მეთოდით.

თავი 2. ჰაერის მასების დინამიკა მთა-ხეობებში.

2.1. ზონალური ჰაერის ნაკადის რიცხვითი მოდელირება კავკასიის რეგიონისთვის.

ცირკულაციებს შორის, მუსონური ტიპის ცირკულაცია ყველაზე მკვეთრად გამოხატული დასავლეთ საქართველოში. ასეთი მუსონური ტიპის ჰაერის ნაკადმა შეიძლება მნიშვნელოვანად შეცვალოს არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატიც. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ ფენომენის შესწავლა მათემატიკური მოდელირების საშუალებით. ამგვარი კვლევის ჩასატარებლად პირველ რიგში უნდა მიმოვიხილოთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძირითადი სინოპტიკური პროცესები.

საქართველოს ტერიტორიაზე დაკვირვებული ძირითადი სინოპტიკური პროცესების კლასიფიკაცია და ამ პროცესებით გამოწვეული ამინდის ხასიათი სტატისტიკური და ემპირიული მეთოდებით შესწავლილ იქნა სინოპტიკოსებისა და მეტეოროლოგების მიერ (Kordzakhia, 1961; Javakhishvili, 1981; 1988). გრძელმასშტაბიანი სინოპტიკური პროცესების შესწავლამ აჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად გვაქვს ხუთი პროცესის ტიპი:

- დასავლეთის ატმოსფერული პროცესები (ატმოსფერული მასების გადატანა ხდება განედის გასწვრივ, 54% შემთხვევაში).
- აღმოსავლეთის ატმოსფერული პროცესები (21% წელიწადში).
- ანტიციკლონური პროცესები (7% წელიწადში).
- ტალღური აღრევები (სამხრეთიდან თბილი ფრონტის შემოჭრა, 4% წელიწადში).
- ორმხრივი ატმოსფერული პროცესები (შემოჭრა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ერთდროულად, წელიწადში 1,5 %).

უნდა აღინიშნოს, რომ თბილი (ცივი) ჰაერის მასების შემოჭრა ჩრდილოეთიდან იშვიათია, ვინაიდან მთავარი კავკასიონის ქედი არის ბუნებრივი ბარიერი ჩრდილოეთიდან შემოსული ჰაერის მასებისათვის. ამიტომ როგორც წესი ჩრდილოეთის დინებები გვერდს უვლიან მთავარი კავკასიონის ქედს და

შემოედინებიან ან ჩრდილო-დასავლეთიდან ან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან (Javakhishvili, 1981). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამხრეთიდან შემოდის მხოლოდ ატმოსფერული პროცესების 13%, ხოლო დასავლეთისა და აღმოსავლეთის პროცესები (ჰაერის მასების ზონალური გადატანა შავი ზღვიდან კასპიის ზღვისკენ და პირიქით) შეადგენს 75%. სწორედ ამიტომ, დასავლეთ საქართველოში კლიმატის ცვლილების უკეთ შესასწავლად, აუცილებელია შევისწავლოთ მეტეოროლოგიური ველების ცვლილება ატმოსფეროს ქვედა ფენაში, როცა ატმოსფერული ნაკადი მოძრაობს შავი ზღვიდან ხმელეთისკენ და პირიქით.

შესწავლა გვიჩვენებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის ფორმირება არის გამოწვეული როგორც ფართომასშტაბიანი სინოპტიკური, ასევე განსაკუთრებით ლოკალური ატმოსფერული პროცესების მოქმედებით, რომლებიც ძირითადად გამოწვეულია კავკასიის რელიეფის რთული ოროგრაფიით (Khvedelidze, 1978; Davitashvili, 1979; 1996). დამატებით საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა თამაშობს მნიშვნელოვან როლს რეგიონალური კლიმატის ჩამოყალიბებაში (Javakhishvili, 1981; 1988; Kordzakhia, 1961). მართლაც, საქართველოს ტერიტორიის ადგილმდებარეობა ერთის მხრივ შავ და კასპიის ზღვებს შორის და მეორეს მხრივ მთავარ და მცირე კავკასიონის ქედებს შორის, თამაშობს მნიშვნელოვან როლს საქართველოში მეტეოროლოგიური ველების სივრცულ-დროით განაწილებაში. კავკასიის ტერიტორიაზე დაკვირვებებმა აჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად ხდება ატმოსფერული მასების შემოსვლა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და პირიქით (Javakhishvili, 1981; 1988; Kordzakhia, 1961).




სურ.2.1.1 კავკასიის რუკა.

მართლაც სურ. 2.1.1 გვიჩვენებს, რომ მთავარ და მცირე კავკასიონის ქედებს შორის არის ხელსაყრელი კორიდირი ატმოსფერული ჰაერის მასების გადასატანად შავი ზღვიდან კასპიის ზღვისკენ მცირე დაბრკოლებით საქართველოს ცენტრალურ ნაწილში (ლიხის ქედი, რომელიც აკავშირებს მთავარ და მცირე კავკასიონის ქედებს). ლიხის ქედის დასავლეთით რელიეფი თანდათანობით დაბლდება შავი ზღვის სანაპიროზე (კოლხეთის დაბლობი). ლიხის ქედის აღმოსავლეთი ნაწილი არის ქართლის დაბლობი, რომელიც ვრცელდება მდინარე მტკვრის გასწვრივ აზერბაიჯანის საზღვრამდე. სურ. 2.1.1 –იდან კარგად ჩანს, რომ რომ შავი ზღვა, მთავარი და მცირე კავკასიონი ლიხის ქედთან ერთად თამაშობს მნიშვნელოვან როლს დასავლეთ საქართველოს კლიმატის ჩამოყალიბებაში. მეცნიერული კვლევა აჩვენებს, რომ ფართომასშტაბიანი სინოპტიკური პროცესები საქართველოში არის არამდგრადი და მათი მონაცვლეობა მნიშვნელოვნად მოქმედებს მეზომასშტაბური ჰაერის ყოფაქცევაზე (Javakhishvili, 1988). ამ საკითხის შესწავლის პროცესში იბადება კითხვა, თუ რამდენად ექვემდებარება მეზომასშტაბური ნაკადები ფართომასშტაბიან ატმოსფერულ პროცესების ცვალებადობას რთული ოროგრაფიის შემთხვევაში.

ასეთი კვლევები ნაწილობრივ ჩატარდა საქართველოს ტერიტორიის მაგალითზე 2 და 3-D ჰიდრავლიკური მოდელების გამოყენებით (Demetrashvili, 1979; Demetrashvili, 2013; Davitashvili, 2015). ამ თავში წარმოდგენილია მეტეოროლოგიური ველების სტრუქტურული ცვალებადობის შესწავლა რიცხვითი მოდელით ატმოსფეროს ქვედა ფენაში, როცა ატმოსფერული მასები გადაადგილდება შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და პირიქით და მათზე გავლენას ახდენს არამდგრადი ფართომასშტაბიანი ნაკადები და დედამიწის ზედაპირის რელიეფის არაერთგვაროვანება. ამ მიზნის მისაღწევად ვიყენებთ სამგანზომილებიან არასტაციონალურ მოდელს, რომელიც შექმნილია „მშრალი ატმოსფეროსთვის“ (Davitashvili, 2015, Samkharadze and Davitashvili, 2004).

განვიხილოთ ტროპოსფეროში მოძრავი ჰაერის მასა, რომელიც შემოსაზღვრულია ქვემოდან არაერთგვაროვანი დედამიწის ზედაპირით $\delta(x, y)$ და ზემოდან ტროპოპაუზის თავუსუფალი ზედაპირით $H(x, y, t)$ რომელთა ცვალებადობა არის განსაზღვრული მოდელის განტოლებების ინტეგრირებით (ნახ.2.1.1). გამარტივების

მიზნით პირველ ეტაპზე უგულებელვყოთ ატმოსფეროში მიმდინარე კონდენსაციისა და რადიაციის პროცესები.



ნახ.2.1.1. მოდელირებული სივრცის ვერტიკალური განაწილების სქემა.

შემოთავაზებული იდეების მიხედვით (Kibel, 1964; Gutman, 1972) გამოიყენება თავისუფალი კონვექციის თეორიის გამარტივება, ატმოსფერული ჰაერის მასების ტრანსპორტირების ამოცანა ტროპოსფეროში ფორმულირებულია მეტეოროლოგიური პარამეტრების ფონური მნიშვნელობებიდან გადახრის თვალსაზრისით.

დეკარტეს კოორდინატა სისტემიდან x, y და z (სადაც x და y ღერძები მიმართულია შესაბამისად აღმოსაღეთისკენ, ჩრდილოეთისკენ და z მიმართულია ვერტიკალურად ზევით) რელიეფთან დაკავშირებულ კოორდინატა სისტემაზე x_1, y_1, ζ გადასვლით შემდეგი დამოკიდებულებებით

$$x_1 = x, y_1 = y, \zeta = \frac{z - \delta(x, y)}{h(x, y, t)},$$

$$h = H(x, y, t) - \delta(x, y)$$

ახალი განტოლებათა სისტემა მიიღებს შემდეგ სახეს (Davitashvili & Demetrashvili, 2015)

$$\frac{du}{dt} = -\Theta_0 \frac{\partial \phi'}{\partial x} + \lambda \vartheta' \left(\zeta \frac{\partial h}{\partial x} + \frac{\partial \delta}{\partial x} \right) + l v + \mu \Delta u + F_u, \tag{2.1.1}$$

$$\frac{dv}{dt} = -\Theta_0 \frac{\partial \phi'}{\partial y} + \lambda \vartheta' \left(\zeta \frac{\partial h}{\partial y} + \frac{\partial \delta}{\partial y} \right) - l u + \mu \Delta v + F_v, \tag{2.1.2}$$

$$\Theta_0 \frac{\partial \varphi'}{\partial \zeta} = \lambda \vartheta' h, \quad \varphi = c_p (p/1000)^{R/c_p}, \quad (2.1.3)$$

$$\frac{d \vartheta'}{dt} + S w = \mu \Delta \vartheta' - u' \frac{\partial \Theta}{\partial x} - v' \frac{\partial \Theta}{\partial y}, \quad (2.1.4)$$

$$\frac{\partial h}{\partial t} = e^{\sigma h} \int_0^1 E e^{-\sigma h \zeta} d\zeta, \quad \tilde{w} = \frac{1}{h} \left[e^{\sigma h \zeta} \int_0^{\zeta} E e^{-\sigma h \zeta} d\zeta - \zeta e^{\sigma h} \int_0^1 E e^{-\sigma h \zeta} d\zeta \right], \quad (2.1.5)$$

$$w = \zeta \frac{\partial h}{\partial t} + u \left(\zeta \frac{\partial h}{\partial x} + \frac{\partial \delta}{\partial x} \right) + v \left(\zeta \frac{\partial h}{\partial y} + \frac{\partial \delta}{\partial y} \right) + \tilde{w} h, \quad (2.1.6)$$

$$E(x, y, t) = \sigma u h \left(\zeta \frac{\partial h}{\partial x} + \frac{\partial \delta}{\partial x} \right) + \sigma v h \left(\zeta \frac{\partial h}{\partial y} + \frac{\partial \delta}{\partial y} \right) - \frac{\partial u h}{\partial x} - \frac{\partial v h}{\partial y}. \quad (2.1.7)$$

სადაც,
$$\frac{d}{dt} = \frac{\partial}{\partial t} + u \frac{\partial}{\partial x} + v \frac{\partial}{\partial y} + \tilde{w} \frac{\partial}{\partial \zeta}, \quad \Delta = \frac{\partial}{\partial x^2} + \frac{\partial}{\partial y^2},$$

$$u = U + u', \quad v = V + v', \quad w = w', \quad \vartheta = \Theta + \vartheta', \quad \varphi = \Phi + \varphi',$$

$$F_u = -IV + \frac{\partial U}{\partial t}, \quad F_v = IU + \frac{\partial V}{\partial t}, \quad S = \frac{\partial \Theta}{\partial z},$$

$$\frac{\partial \Theta}{\partial x} = \frac{l}{\lambda} \frac{\partial V}{\partial z}, \quad \frac{\partial \Theta}{\partial y} = -\frac{l}{\lambda} \frac{\partial U}{\partial z}.$$

სადაც გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები: u , v და w ჰაერის სიჩქარის კომპონენტები შესაბამისად x , y და z კოორდინატების გასწვრივ; \tilde{w} არის ქარის სიჩქარის ვერტიკალური კომპონენტის ანალოგი რელიეფთან დაკავშირებულ კოორდინატთა სისტემაში; ϑ' და φ' არის პოტენციალური ტემპერატურისა და წნევის ანალოგის გადახრები ფონური მნიშვნელობებიდან Θ და Φ , შესაბამისად; U და V არის ქარის სიჩქარის კომპონენტების ფონური მნიშვნელობები x და y , ღერძების გასწვრივ, შესაბამისად. g , Θ_0 , l არის თავისუფალი ვარდნის აჩქარება, საშუალო პოტენციალური ტემპერატურა და კორიოლისის პარამეტრები, შესაბამისად; c_p , R , λ არიან კუთრისითბოტევადობა მუდმივი p წნევის დროს, გაზის მუდმივა მშრალი ჰაერისათვის და ამომგდები ძალის პარამეტრი, შესაბამისად; σ აღწერს სიმკვრივის ცვლილებას სიმაღლის მიხედვით; F_u და F_v სივრცისა და დროის ფუნქციები აღწერენ ფართომასშტაბიანი სინოპტიკური პროცესების გავლენას მეზომასშტაბურ პროცესებზე.

განტოლებათა სისტემა (2.1.1)-(2.1.7) იხსნება შემდეგი საწყისი და სასაზღვრო პირობების გამოყენებით:

$$\tilde{w} = 0, \left(w = u \frac{\partial \delta}{\partial x} + v \frac{\partial \delta}{\partial y}, z = \delta(x, y) \right) \text{ თუ } \zeta = 0, \quad (2.1.8)$$

$$\tilde{w} = 0 \quad \left(w = \frac{\partial H}{\partial t} + u \frac{\partial H}{\partial x} + v \frac{\partial H}{\partial y}, z = \delta(x, y) \right), \quad \varphi' = 0, \text{ თუ } \zeta = 1 \quad (2.1.9)$$

$$\frac{\partial u}{\partial x} = 0, \quad \frac{\partial v}{\partial x} = 0, \quad \frac{\partial \varphi'}{\partial x} = 0, \quad \frac{\partial h}{\partial x} = 0, \text{ თუ } x = 0, L_x, \quad (2.1.10)$$

$$\frac{\partial u}{\partial y} = 0, \quad \frac{\partial v}{\partial y} = 0, \quad \frac{\partial \varphi'}{\partial y} = 0, \quad \frac{\partial h}{\partial y} = 0, \text{ თუ } y = 0, L_y, \quad (2.1.11)$$

$$u = u^0, \quad v = v^0, \quad \varphi' = \varphi'^0, \quad h = H_0 - \delta(x, y), \text{ თუ } t = 0, \quad (2.1.12)$$

სადაც H_0 არის თავისუფალი ზედაპირის საწყისი სიმაღლე; L_x და L_y არის ბადის ჰორიზონტალური მასშტაბი x და y ღერძების გასწვრივ, შესაბამისად. სასაზღვრო პირობების ძირითადი მოთხოვნა (2.1.10) და (2.1.11) ითვალისწინებს, რომ მათ უნდა უზრუნველყონ შემფოთებების გავლა, რომელიც წარმოიქმნება ბადის შიგნით, გვერდითი საზღვრების გასწვრივ მნიშვნელოვანი არეკვლის გარეშე.

\tilde{w} და h აღებულია უწყვეტობის განტოლებიდან

$$\frac{\partial h}{\partial t} + \frac{\partial uh}{\partial x} + \frac{\partial vh}{\partial y} + \frac{\partial \tilde{w}h}{\partial z} = \sigma wh,$$

\tilde{w} -სთვის (2.1.8) და (2.1.9) სასაზღვრო პირობების გამოყენებით.

ამრიგად, (2.1.1)-(2.1.7) განტოლების ამონახსნი, (2.1.8)-(2.1.12) საწყისი და სასაზღვრო პირობების გამოყენებით მართკუთხა პარალელეპიპედში $M(0 \leq \zeta \leq 1, 0 \leq x \leq L_x, 0 \leq y \leq L_y)$. განტოლება იხსნება რიცხვითი მეთოდებით კერძოდ, 2 დონიანი ლაქს-ვენდროვის მეთოდით (Richtmayer & Morton., 1972).

2.2. ჰაერის ნაკადი იზოლირებული დაბრკოლების შემთხვევაში.

სანამ ჰაერის ნაკადის ქცევას განვიხილავდეთ რეალური ტოპოგრაფიის შემთხვევაში, განვიხილოთ ჰაერის ნაკადი იზოლირებული წრიული დაბრკოლების

შემთხვევაში, როცა დაბრკოლების ფორმა მოცემულია შემდეგი ფორმულით (Demetrashvili & Davitashvili, 2013):


$$\delta(x, y) = \begin{cases} a_0(1 - r^2/r_0^2)^3, & r = \sqrt{(x - x_0)^2 + (y - y_0)^2} \leq r_0 \\ 0, & r > r_0, \end{cases}$$

სადაც a_0 და r_0 დაბრკოლების მაქსიმალური სიმაღლე და ნახევარ-სიგანე, x_0 და y_0 არის ზედა საზღვრის ჰორიზონტალური კოორდინატები.

რიცხვითი გათვლები შესრულდა 21 ვერტიკალურ დონეზე, რომლებიც აღებული იქნა თანაბარი ვერტიკალური ბიჯი $\Delta z = 0.05$. ყოველ დონეზე არის განთავსებული 46×66 ბადის წერტილი 10 კმ-იანი ბადის ბიჯით. იზოლირებული წრიული დაბრკოლების სხვა პარამეტრებს აქვთ შემდეგი რიცხვითი მნიშვნელობები : $a_0 = 1$ კმ, $r_0 = 75$ კმ, $H_0 = 12$ კმ, $S = 0.003 \text{ K/m}$,

$$\sigma = 10^{-4} \text{ მ}^{-1}, \quad l = 10^{-4} \text{ წმ}^{-1}, \quad \lambda = 0.033 \text{ მ/s}^2\text{K}, \quad \Theta_0 = 300 \text{ K} . \text{ დროის } \Delta t = 60 \text{ s} .$$

რიცხვით ექსპერიმენტებში ერთიანი დაურღვეველი ატმოსფერული ფონური სიჩქარე მიმართულია x ღერძის გასწვრივ და დროის მიხედვით იცვლებოდა შემდეგნაირად: ფონური სიჩქარე იზრდებოდა 2 საათის განმავლობაში და მიაღწია 12 მ/წმ-ს. ამის შემდეგ ის არ შეცვლილა $t = 10$ სთ-მდე.



ნახ.2.2.1 მეზომასშტაბური ატმოსფერული ნაკადის ტრანსფორმაციის ხედი $z = 500$ მ სიმაღლეზე.

ჩატარდა რიცხვითი ექსპერიმენტების სერია, რომლებიც ასახავდნენ ლიხის ქედის ანალოგიურ ხელოვნურ დაბრკოლებაზე მეზომასშტაბური ნაკადის დინების თავისებურებებს. აქ წარმოდგენილია მხოლოდ ზოგიერთი მახასიათებელი ექსპერიმენტების რიცხვითი თვლის შედეგების მოკლე ანოტაცია. მაგალითად ნახ.2.2.1 (a). ასახავს ჰაერის ნაკადის ტრანსფორმაციას იზოლირებული დაბრკოლების მახლობლობაში ჰორიზონტალურ $z = 500$ მ სიმაღლეზე, ხოლო ნახ.2.2.1 (b)-ზე წარმოდგენილია ჰაერის ნაკადის ტრანსფორმაცია z_{0x} ვერტიკალურ სიბრტყეში (რომელიც გადის დაბრკოლების ცენტრში). ნახ. 2.2.1 (a)-ის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 10 საათის განმავლობაში მეზომასშტაბური ჰაერის მოძრაობა ირღვევა ჰორიზონტალურ სიბრტყეში და ნაკადი მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდება. კერძოდ, ნახ. 2.2.1 (a)-დან აშკარად ჩანს, რომ ამ დროის განმავლობაში, ჰორიზონტალურ სიბრტყეში ჰაერის ნაკადის სიჩქარე იზრდება დაბრკოლების მახლობლობაში ჩახვეულობის წარმოქმნის ტენდენციით. ნახ. 2.2.1 (b)-ს ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტალღის ამპლიტუდა დაბრკოლების გარშემო მნიშვნელოვნად იზრდება მთელს ტროპოსფეროში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თითქმის მსგავსი შედეგი იქნა მიღებული ორგანოზომილებიანი მოდელის შემთხვევაშიც (Demetrashvili, 1979).


2.3. ჰაერის ნაკადის მოდელირება კავკასიის რეალური ტოპოგრაფიის შემთხვევაში.

ზოგიერთი რიცხვითი გაანგარიშება განხორციელდა (2.1.1)-(2.1.7) განტოლებების საფუძველზე კავკასიის რეალური რელიეფის გათვალისწინებით (2.1.8)-(2.1.12) სასაზღვრო და საწყისი პირობები ფარგლებში. კერძოდ, რიცხვით ექსპერიმენტებში გათვალისწინებულია კავკასიისა და მისი შემოგარენის ტოპოგრაფიული რუკებიდან მიღებული მატრიცული მონაცემები რელიეფის სიმაღლის და მისი დახრილობის ზოგიერთი პარამეტრის გამოყენებით, შესაბამისად, 10 კმ-იანი ბიჯით (იხილეთ ნახ. 2.3.1). როგორც ნახ. 2.3.1 გვიჩვენებს ჩვენს მიერ მოპოვებული და დამუშავებული რელიეფის სიმაღლისა და დახრილობის მატრიცული მონაცემები

დამაკმაყოფილებლად აღწერს კავკასიის საკმაოდ რთული და ორიგინალური ტოპოგრაფიის მახასიათებლებს და განსაკუთრებით კარგად ასახავს ატმოსფერული ნაკადების დერეფანს საქართველოს ტერიტორიაზე.

რიცხვითი გათვლებისთვის, შერჩეულია რეგიონი M 830x690 კმ ჰორიზონტალური ზომებით, რომელიც ვერტიკალური მიმართულებით დაფარულია 30 დონიანი ბადური ქსელით და თითოეულ ჰორიზონტალურ ბადეზე არის 84 x 70 წერტილი. ბადის ბიჯი არის 10 კმ. დროის ბიჯი იყო $\Delta t = 6$ წამი. სხვა პარამეტრები აღებულია შემდეგი რიცხვითი მნიშვნელობებით: $H_0 = 12$ კმ, $S = 0.003 K/m$, $\sigma = 10^{-4} \text{ მ}^{-1}$, $\lambda = 0.033$, $l = 10^{-4} \text{ წ 1, მ/წ}^2 \text{ კ}$, $\Theta_0 = 300 K$.


რიცხვით ექსპერიმენტებში ერთგვაროვანი შეუშფოთებელი ფონური დინება მიმართული იყო ox ღერძის გასწვრივ და ის დროში იცვალბოდა შემდეგნაირად: ფონური დინებები წარმოიშვა $t = 0$ მომენტში და ორ საათის შემდეგ მიაღწია 12 მ/წმ-ს. ამის შემდეგ ის არ იცვლბოდა $t = 10$ სთ–ის განმავლბაში.




ნახ. 2.3.1. რიცხვითი გაანგარიშებისათვის გამოყენებული კავკასიის ციფრული რუკა (ზღვის დონიდან მეტრებში).

რიცხვითი გათვლების ზოგიერთი შედეგები, რომელიც განხორციელდა (2.1.1) - (2.1.7) განტოლებათა საფუძველზე (2.1.8) - (2.1.12) სასაზღვრო და საწყისი პირობებით წარმოდგენილია ნახ.2.3.2 და ნახ.2.3.2 –ის სახით. ნახ.2.3.2-ზე წარმოდგენილია დასავლეთის მიმართულების შეუშფოთებელი აირის ნაკადები სხვადასხვა სიმაღლეზე z

= 200, 1500, 3000 და 5000 მ (ზღვის დონიდან) $t = 10$ სთ-ზე. ნახ.2.3.2-დან ნათლად ჩანს, რომ დასავლეთის დინება მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის ოროგრაფიის გავლენით $t = 10$ სთ-ის მომენტისთვის. კერძოდ, აფხაზეთისა და აჭარის სანაპიროებზე, რომლებიც საკმაოდ მაღალი მთის სისტემებით ხასიათდება, რელიეფის გავლენით ჰაერის ნაკადი ორ დინებად იყოფა და ერთი მათგანი ჩრდილოეთისკენ მიემართება. ასევე აშკარად ჩანს, რომ დასავლეთის ატმოსფერული ნაკადის უდიდესი ნაწილი ვერ გადალახავს (თავს არიდებს) კავკასიონის მთებს და ვრცელდება მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში. გარდა ამისა, დინების ანალიზი $z = 200$ მ-ზე გვიჩვენებს, რომ ლიხის ქედის ოროგრაფიული დაბრკოლების ზემოქმედების გამო ქარის ჩახვეულობა წარმოიქმნება კოლხეთის დაბლობზე, დაახლოებით 12-16 მ/წმ სიჩქარის (ნახ. 2.3.2 a), ხოლო ჰაერის ნაკადის ანალიზი $z = 1,500$ მ სიმაღლეზე აჩვენებს, რომ კოლხეთის დაბლობზე ქარის ჩახვეულობის (მორევის) წარმოქმნის ნაცვლად, კავკასიონის მთავარ ქედზე არსებობს ჰაერის მორევის რამდენიმე სუსტი წარმონაქმნი (ნახ. 2.3.2 b) . ნახ. 2.8.2 (c, d) ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ სიმაღლის მატებასთან ერთად ($z = 3000$ მ-დან $z = 5000$ მ-მდე), მთავარი კავკასიონის მთების გავლენით ნაკადი სუსტდება და მისი მიმართულება თანდათან უბრუნდება ფონურ მიმართულებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოროგრაფიის გავლენა მოძრავ ჰაერის ნაკადზე მაინც აშკარად იკვეთება ჰაერის ნაკადის ბრუნვის გადახრით და ჰაერის ნაკადის სიჩქარის ზრდით (ქარის მაქსიმალური სიჩქარე აღწევს დაახლოებით 26 მ / წმ) კავკასიონის ძირითადი ქედის გარშემო.






სურ.2.3.2 დასავლეთის ჰაერის ველების მიმდინარეობა კავკასიის ტერიტორიაზე $t = 10$ სთ შემდეგ სიმაღლეებისათვის (a) $z = 200$ მ, (b) $z = 1500$ მ, (c) $z = 3000$ მ, (d) $z = 5000$ მ.

მეზომასშტაბური ჰაერის ნაკადის ქცევის შესწავლა საქართველოში (დასავლეთ საქართველოში), როცა დასავლეთის ფონური ჰაერის ნაკადი (მიმართულია შავი ზღვიდან კასპიის ზღვისკენ) შეცვლილია აღმოსავლეთის ფონური ჰაერის ნაკადით (მიმართულია კასპიის ზღვიდან შავი ზღვისკენ) დიდ ინტერესს წარმოადგენს, ვინაიდან აღმოსავლეთის პროცესები ხშირია საქართველოს ტერიტორიაზე. ამიტომ, კავკასიის რეალურ ტოპოგრაფიის შემთხვევაშიც ჰაერის ნაკადის თავისებურებათა შესწავლის მიზნით, ჩატარდა რიცხვითი გათვლები, როდესაც დასავლეთის ფონური დინება $U=12$ მ/წმ სიჩქარით გარდაიქმნება აღმოსავლეთიდან მომავალ დინებად $U = -12$ მ/წმ. საპირისპირო სიჩქარით. თუმცა ფონური ნაკადის ცვლილების დრო $t=12$ სთ-მდე იყო იგივე, რაც წინა რიცხვითი ექსპერიმენტებში, წარმოებული (2.1.1) - (2.1.7) განტოლებების საფუძველზე, (2.1.8) - (2.1.12) საწყისი და სასაზღვრო პირობების გამოყენებით.

ნახ.2.3.3-ში წარმოდგენილია შემფოთებული ნაკადის ველები ზღვის დონიდან $z = 200$ მ სიმაღლეზე დროის სხვადასხვა მომენტებისთვის. რიცხვითმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ფონური ნაკადის სიჩქარის შემცირებისას 12 მ/წმ-დან 0 მ/წმ-მდე, ოროგრაფიულად შემფოთებული დინება მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. კერძოდ, კოლხეთის დაბლობის გარშემო და შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში აშკარად

შეინიშნებოდა ქარის მოქცევა საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით და მეტი ჩახვეულობების წარმოქმნის ტენდენცია.



ნახ.2.3.3. საჰაერო დენის ველების სიმულაცია კავკასიონზე $z = 200$ მ-ზე შემდეგი დროებისთვის: (a) - 14 სთ, (b) - 15 სთ, (c) - 16 სთ, (d) - 17 სთ, (e) - 19 სთ, (f) - 28 სთ.

ჰაერის ნაკადის გადადინებისას იზოლირებული წრიული ფორმის დაბრკოლების შემთხვევაშიც კი ძალიან საინტერესოა მეზომასშტაბური ჰაერის ნაკადის შემფოთების ფენომენი, როცა არ გვაქვს ფონური ნაკადი. ანალოგიურია (ნახ. 2.3.3 c). ნაკადის ნიმუში, რომლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ფონის არ არსებობისა ზედაპირულ ფენაში შეიძლება შენახულ იქნას მნიშვნელოვანი ქარები, რომელთა სიჩქარეც დაახლოებით 12-16 მ/წმ არის. რაც აიხსნება იმით, რომ ფონური დინების გაქრობის შემდეგ, მეზომასშტაბური მოძრაობის არსებობა ოროგრაფიულად არაერთგვაროვან ძირეულ ზედაპირზე გამოწვეულია წნევის ველის შემფოთებით, ამიტომ მეზომასშტაბური მოძრაობა შენახუნებულია ფონური წნევის გრადიენტის არარსებობის გამო. $T = 16$ საათის შემდეგ, როდესაც აღმოსავლეთის ფონური დინება წარმოიქმნება და 16-22 საათის განმავლობაში მიაღწევს 12 მ/წმ სიჩქარეს, მეზომასშტაბური დინება თანდათან გარდაიქმნება და გარკვეული დროის განმავლობაში იქმნება ისეთი სტრუქტურის ნაკადი, რომელიც შეესაბამება აღმოსავლეთ ფონის დინებას (ნახ. 2.3.3 d-f). სხვადასხვა სიმაღლეზე ატმოსფერული დინების ნიმუშების ანალიზმა აჩვენა, რომ ფართომასშტაბიანი პროცესების გარდაქმნის არასტაციონარული ხასიათი განსხვავდება ტროპოსფეროს ქვედა და ზედა ფენებში. ქვედა ფენაში, სადაც ოროგრაფიული ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია, სინოპტიკური პროცესების შეცვლაზე მეზომასშტაბური ნაკადის რეაგირების დრო უფრო მეტია, ვიდრე ტროპოსფეროს ზედა ფენებში და მეზომასშტაბური დინება ერთდროულად არ რეაგირებს ფონის ცვლილებაზე. ვერტიკალური ჭრილის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ იზოლირებულ წრიულ დაბრკოლებაზე ჰაერის ნაკადის შემთხვევაში, რეალური რელიეფის ზემოთ ტალღის ამპლიტუდა მნიშვნელოვნად იზრდება მთელს ტროპოსფეროში და ჩახვეულობის (მორევის) სტრუქტურის ფორმირებას ადგილი აქვს ფონური ატმოსფერული პროცესების არ არსებობის დროსაც (ნახ. 2.3.).

2.4. ქარის რეჟიმი ქუთაისის მეტეოსადგურის მონაცემების მაგალითზე.

დედამიწის მოსახლეობისთვის, მრავალგვარ მეტეოროლოგიურ ელემენტებსა და მოვლენებს შორის, დიდი მნიშვნელობა აქვს ქარს. ქარის როლი მნიშვნელოვანია, რადგან მას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. მაგალითად კაცობრიობა ზომიერ ქარს იყენებს ენერგეტიკული თვალსაზრისით, თუმცა მეორე მხრივ ქარი იწვევს მნიშვნელოვან ნგრევას 10-12 მ/წმ სიჩქარის დროსაც კი, აზიანებს ელექტროგაყვანილობას და კავშირგაბმულობის საშუალებებს. 35 მ/წმ სიჩქარის ზემოთ კი ზიანს აყენებს კაპიტალურ შენობებს. არ არსებობს შენობა-ნაგებობა, რომელიც უძლებს 90 მ/წმ სიჩქარის ქარს. ქარის სიჩქარის და მიმართულების ცვლილება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ამინდის ჩამოყალიბებაში, კლიმატური პარამეტრების ცვლილებაში. იგი არის ალტერნატიული ენერჯის წყარო. ქარმა შეიძლება ასობით ტონა მტვერი გადაიტანოს ერთი ადგილიდან მეორეზე და გააძლიეროს ნიადაგის გამომშობა-გაუდაბნოება. განსაკუთრებით საშიშია ლოკალური წარმოშობის ძლიერი ქარები-ტორნადო, ქარბორბალა და სხვა. ქარის საშუალო სიჩქარეები წარმოადგენს არასაკმარის ენერგეტიკულ მაჩვენებელს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქარის სიჩქარის დაბალი მნიშვნელობის დროს თვალნათელია მათი გამოყენების არაპერსპექტიულობა, თუმცა სიჩქარის მაღალი მნიშვნელობა მუდამ ვერ უზრუნველყოფს ქარის ენერჯის გამოყენების ეფექტურობას. ენერგეტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისეთი სიჩქარეები, რომლებიც უზრუნველყოფს ქარის ენერგეტიკული დანადგარის ავტომატურ რეჟიმს. ქარის სამუშაო სიჩქარეებიდან ენერგეტიკული თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სიჩქარეები, რომლებიც აღემატება 5 მ/წმ-ს (ელიზბარაშვილი ე., 2007).

ქარის გაბატონებული მიმართულება დამოკიდებულია ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებზე, წლისა და დღეღამის დროზე. საქართველოს ტერიტორიაზე მიწისპირა ქარის ზონალური და მერიდიანული მდგენელების განაწილება სეზონურ ხასიათს ატარებს. ზამთარში საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე გაბატონებულია ქარის მიმართულება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან

სამხრეთისაკენ, ხოლო გაზაფხულსა და ზაფხულში ქარი ძირითადად ქრის დასავლეთის და სამხრეთის მიმართულებით. შემოდგომაზე საქართველოს ბარში ქარის მიმართულება მიმართულია დასავლეთისაკენ, ხოლო მთებში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია სამხრეთისა და დასავლეთის მიმართულება (ელიზბარაშვილი ე., 2007). საქართველოს ტერიტორიაზე ქარის სიჩქარის სივრცული განაწილების კანონზომიერებანი თეორიულად საკმარისად კარგად იქნა შესწავლილი მრავალი ავტორის მიერ (ხვედელიძე, 2002; კოტარია, 1992; Хведелидзе, 2009). ბოლო წლებში კი შექმნილია არაერთი ფიზიკურ-მათემატიკური მოდელი, რომელშიც განსაზღვრული იქნა ქარის ბუნება ლოკალურ რეგიონებში, მათ შორის მთა-გორიან ტერიტორიაზე (სამხარაძე, 2011; ხვედელიძე, 2002; Хведелидзе, 2009; 2011, Demetrashvili and Davitashvili, 2013). ქარი არის ჰაერის მასების ჰორიზონტალური და ვერტიკალური მოძრაობა, რომელიც გამოწვეულია ტემპერატურისა და წნევის გრადიენტებით (კოტარია, 1992). შუა განედებში, როგორცაა საქართველოს მდებარეობა, დომინირებს წნევის გრადიენტით გამოწვეული მოძრაობები, იზობარების პარალელურად, და გარდა ამისა, დედამიწის მოძრაობის გამო ქარი ძლიერდება კორიოლისის ძალით (ხვედელიძე, 2002). ხახუნისა და ოროგრაფიის გავლენა ჰაერის მასების მოძრაობაზე მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან მოძრაობას და აიძულებენ მისი მიმართულების ცვლილებას დაბალი წნევის ზონისკენ. ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიაზე, ატმოსფეროს ზედაპირულ ფენაში ქარის მიმართულება და სიჩქარეა დიდადაა დამოკიდებული ადგილობრივ გეოგრაფიულ– ოროგრაფიულ პირობებზე (Хведелидзе, 2009; 2011, Demetrashvili and Davitashvili, 2013).

საქართველოს ტერიტორიის კომპლექსური რელიეფი გარკვეულ გავლენას ახდენს ჰაერის მასების მოძრაობაზე ატმოსფეროს ქვედა ფენებში. საქართველოს ასეთი რთული რელიეფური პირობები განაპირობებს სხვადასხვა მასშტაბური ცირკულაციის სისტემების ჩამოყალიბებას და ევოლუციას და მეტეოროლოგიური ელემენტების არაერთგვაროვან სივრცით განაწილებას. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ისეთ მნიშვნელოვან პარამეტრს, როგორცაა ქარის წლიური განაწილება, საქართველოში მრავალფეროვანია, მკვეთრად გამოხატული სივრცითი არაერთგვაროვნებით.

ისევე როგორც მიმართულება, ქარის სიჩქარეც დამოკიდებულია ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებზე და წლის დროზე (თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად მაინც დასავლეთის და აღმოსავლეთის ატმოსფერული პროცესები ჭარბობს). ქარის საშუალო წლიური სიჩქარე საქართველოს ტერიტორიაზე იცვლება 0,6-დან(აბასთუმანი) 9,2მ/წმ (მთა-საბუეთი) ფარგლებში. ყველაზე ძლიერი ქარები დამახასიათებელია ლიხის ქედისათვის. ძლიერი ქარიანობით გამოირჩევა საქართველოს ტერიტორიის საშუალო და მაღალმთიანი ზონა. აქ ქარის საშუალო წლიური სიჩქარე ძირითადად 5-9მ/წმ ფარგლებშია. ძლიერი ქარებია დამახასიათებელი აგრეთვე მდინარე რიონის ხეობისათვის, კერძოდ ქუთაისის მიდამოებში, სადაც ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 5-10მ/წმ-ს აღწევს (ელიზბარაშვილი ე., 2007). ზემოთ თქმულიდან გამომდინარე საქართველოში ქარი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეტეოროლოგიური ელემენტია, რომელიც შესაძლებელია გამოიყენებულ იქნას ენერგეტიკულ ინდუსტრიაში. მაგალითად ერთ-ერთი ასეთი ტერიტორიაა ქ. გორის მიმდებარე ტერიტორია და ეს ადგილი არჩეულ იქნა პირველი ქარის ელექტროსადგურის ასაშენებლად. ამჟამად ქარის ელექტროსადგური მუშაობს გამართულად და მისი ეფექტურობა 54%-ია, რაც ასეთი ტიპის სადგურისთვის მაღალი მაჩვენებელია. ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ენერგია 1 დეკემბრიდან სრულად მიეწოდება საქართველოს ელექტროსისტემას (5,5 მლნ კვტ) და უზრუნველყოფილი იყო 10 572 კილოვატ საათი ენერგია (Tatishvili and Samkharadze, 2017). ქარის ენერგია ელექტროენერჯის წარმოების აუცილებელი და ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ელექტროსადგურს სჭირდება ქარის სიჩქარე მინიმუმ 3 მ/წმ ენერჯის გამომუშავების დასაწყებად და მისი შემდგომი განვითარება ქარის სიჩქარის პირდაპირპროპორციულია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართლის ქარის ელექტროენერჯის ეფექტურობა 54%-ია, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. ასე რომ, საჭირო ხდება ახალი ტერიტორიების აღმოჩენა მაღალი ენერჯის გენერირების შესაძლებლობებით. ამ მიზნით ქუთაისის რეგიონი ავირჩიეთ შესასწავლად ვინაიდან მას მაღალი ენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია. მიუხედავად ასეთი სადგურების დადებითი თვისებებისა, მათ გააჩნიათ გარკვეული უარყოფითი

თვისებებიც. ქარის ელექტროსადგურის მიერ განვითარებული სიმძლავრე დამოკიდებულია ქარის სიჩქარეზე. ქარის გენერატორი იწყებს სიმძლავრის გაცემას თუ ქარის სიჩქარე 2-3 მ/წმ-ია. ქარის სიჩქარის ზრდასთან ერთად ეს სიმძლავრე იზრდება და აღწევს გენერატორის ნომინალურ სიმძლავრეს ქარის 12 მ/წმ სიჩქარის დროს. თუ ქარი გაძლიერდა და მისმა სიჩქარემ გადააჭარბა 25 მ/წმ გენერატორი გაითიშება. გარდა ამისა, ძლიერი ქარების ($V \geq 30$ მ/წმ) შესახებ ქუთაისის, მთა საბუეთისა და ტყიბულის მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემების 1960-2005 წწ. მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ქუთაისის მეტეოსადგურის სხვადასხვა ტიპის მონაცემები 2,5-ჯერ და 7,5-ჯერ აღემატება ტყიბულისა და მთა-საბუეთის შესაბამის მონაცემებს (კაპანაძე, ხვედელიძე, 2018). ამიტომ შევეცადეთ იმერეთის რეგიონის ძლიერი ქარების რეჟიმისა და სტატისტიკური მახასიათებლების შესასწავლად ქუთაისის მეტეოსადგურის ფართო და საიმედო მონაცემებით გვესარგებლა და ქარის რეჟიმი ამ პარაგრაფში ძირითადად სტატისტიკური მეთოდებით შეგვესწავლა.

ქუთაისის რეგიონისთვის განსაკუთრებით ხშირია მთა-ხეობის ქარები და ასევე მექანიკური წარმოშობის ქარები-ფიონები. დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მთა-ხეობის ქარები მთელი წლის განმავლობაშია და ამასთან, წლის თბილ პერიოდში მათი განმეორადობა საკმარისად დიდია (ელიზბარაშვილი ე., 2007). მთა-ხეობის ქარი წარმოადგენს ერთი და იგივე სიმაღლეზე ფერდობისა და თავისუფალი ატმოსფეროს არათანაბარი გათბობა-გაცივების შედეგს. დღისით მთის ფერდობი და მისი მიმდებარე ჰაერის ფენები უფრო მეტად თბება, ვიდრე ჰაერი ხეობის ზემოდ. ამიტომ ბარიული გრადიენტი მიმართულია ხეობიდან ფერდობისაკენ, ღამით კი საწინააღმდეგო სურათი წარმოიქმნება, რაც ფიონურ ქარებთან ერთად ენერგეტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

ქარის ველის შესწავლის თეორიული საფუძველი არის ატმოსფეროს ჰიდროთერმოდინამიკა და ამ მხრივ მრავალი ათეული შრომაა შესრულებული ქართველი მეცნიერების მიერ (კოტარია, 1992; სამხარაძე, 2011; ხვედელიძე, 2002; Хведелидзе, 2009, Demetrashvili and Davitashvili, 2013). ამასთანავე, თვით ქარის

ბუნებიდან გამომდინარე, მისი მრავალგვარი ვარიაციების ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სტატისტიკურ მიდგომას. ჩვენი მიზანია დავადგინოთ ძლიერი ქარის ბუნება (>15 მ/წმ) საქართველოს სხვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებულ ტერიტორიაზე სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. ქარი ჰაერის მასების ჰორიზონტალური გადაადგილებაა და აქვს სივრცეში სიჩქარის სამი მდგენელი. ქარი სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით დიდ ცვლილებას განიცდის. ქარი დროის უმცირეს მონაკვეთში შეიძლება მეტად განსხვავებული სიძლიერით უბერავდეს და მიმართულებას იცვლიდეს. ეს ცვლილება განსაკუთრებით მკაფიოა მიწისპირა ფენაში, ძირითადად ოროგრაფიის გავლენით. ჰაერის დინება - ქარი ბიძგების სახით პულსაციას განიცდის, რაც ცნობილია ქარის სიმძლავრის (სიმძაფრის) სახელწოდებით. მისი სიმძლავრის ზომად შეიძლება მივიღოთ დროის გარკვეულ შუალედში (წუთი, საათი, დღე-ღამე, დეკადა, თვე) ბიძგების მაქსიმუმ და მინიმალურ სიჩქარეთა სხვაობის შეფარდება დროის იმავე მონაკვეთის სიჩქარის საშუალო მნიშვნელობასთან, რაც შემდეგი დამოკიდებულებით შეიძლება გამოისახოს (სამხარაძე, ხვედელიძე, 2016):

$$B = \frac{V_{\max} - V_{\min}}{V_{\text{aver}}}, \quad (2.4.1)$$

სადაც, V_{\max} და V_{\min} ქარის მაქსიმალური და მნიშვნელობებია დროის მოცემულ შუალედში, V_{aver} არის ქარის საშუალო მნიშვნელობა დროის იგივე შუალედში, B არის ქარის სიჩქარის დინამიკური მდგრადობის პარამეტრი (ხვედელიძე, 2005). (2.4.1) გვიჩვენებს, რომ ზოგადად რაც დიდია სიჩქარის ამპლიტუდა, მით მეტია B პარამეტრის მნიშვნელობა. B პარამეტრი დიდ მნიშვნელობებს ღებულობს გაზაფხულზე და შემოდგომაზე, მინიმალურს ზაფხულში. ზოგადად ქარის სიმძლავრე დამოკიდებულია ტემპერატურულ გრადიენტზე. გარდა ამისა ჰაერის ტურბულენტური მოძრაობა და აქედან გამომდინარე, ქარის სიმძლავრე დამოკიდებულია ატმოსფეროს ტემპერატურულ სტრატეფიკაციაზე, ამიტომ პარამეტრის ანალოგიურად, შემოგვაქვს თერმიული მდგრადობის პარამეტრი:

$$A = \frac{T_{\max} - T_{\min}}{T_{\text{aver}}}, \quad (2.4.2)$$

სადაც, T_{max} და T_{min} ტემპერატურის მაქსიმალური და მინიმუმობებია დროის მოცემულ შუალედში, T_{aver} არის ტემპერატურის საშუალო მნიშვნელობა დროის იგივე შუალედში. (2.4.2) ახასიათებს ქარის თერმულ რეჟიმს და A არის თერმული მდგრადობის პარამეტრი.

ვინაიდან ანომომეტრული ჩანაწერები პრაქტიკულად აღარ არსებობს (რომელიც ქარის მყისიერ მნიშვნელობას წერდა), ამიტომ, მათემატიკური სტატისტიკის ცნობილი მეთოდების გამოყენებით, ძლიერი ქარის სიმძაფრის გამოსათვლელად, მათი პარამეტრების მნიშვნელობებისა და ქარის ველის სტრუქტურის შესწავლის მიზნით შესწავლილ იქნა იმერეთის რეგიონის ძლიერი ქარების რეჟიმი და სტატისტიკური მახასიათებლები ქუთაისის მეტეოსადგურის მონაცემებით. ქარის სიჩქარის 60 წლიანი მონაცემები (1960-2021 წ.წ.) დავყავით 5 მ/წმ შუალედებად და შევისწავლეთ ქარის სიჩქარის განმეორებადობა თითოეული ინტერვალისათვის. რეგიონალური კლიმატური ცვლილების უკეთ წარმოსაჩენად 60 წლიანი ინტერვალი დავყავით ორ შუალედად 1990 წლამდე შემდეგ. როგორც აღვნიშნეთ ქარის გენერატორის კომფორტულ სამუშაო სიჩქარედ ითვლება 3 მ/წმ-20 მ/წმ ქარის სიჩქარის შუალედი. ხოლო 25 მ/წმ-ს ზემოთ ქარის სიჩქარის დროს გენერატორი მწყობრიდან გამოდის. ამიტომ გარდა საშუალო სიჩქარის მნიშვნელობებისა აუცილებელია ქარის სიჩქარის აბსოლუტური მაქსიმალურ მნიშვნელობათა განაწილების შესწავლაც. თუმცა შედარებისთვის ქარის აბსოლუტური მაქსიმალური განაწილებები შევისწავლეთ არა მხოლოდ 25 მ/წმ-ზე მეტი ქარის სიჩქარის მნიშვნელობებისთვის, არამედ 16-20 მ/წმ და 20-25 მ/წმ ქარის სიჩქარის შუალედებისთვისაც.

ცხრ. 2.4.1-ზე წარმოდგენილია ქარის სიჩქარის აბსოლუტურ მნიშვნელობათა 16-20 მ/წმ გრადაციის განმეორებათა რიცხვი თვეებისა და წლების მიხედვით 1960-1990 წ.წ. მეტი თვალსაჩინოებისათვის განმეორებათა რიცხვის მაქსიმალური მნიშვნელობები (>25) გამუქებულია. როგორც ცხრ.2.4.1 გვიჩვენებს ქარის სიჩქარის 16-20 მ/წმ გრადაციის განმეორებათა რიცხვი დაბალია (<25) ზაფხულის სეზონისთვის, ხოლო დანარჩენი სამი სეზონისათვის ქარის სიჩქარის მოცემული ინტერვალისთვის განმეორებათა რიცხვი


შედარებით მაღალია. განხილული წლებისთვის კი განმეორებათა რიცხვის მაქსიმალური მნიშვნელობა ფიქსირდება თებერვლის თვეში (53).

ცხრ. 2.4.1. ქარის სიჩქარის აბსოლუტური მნიშვნელობათა 16-20 (მ/წმ) გრადაციების განმეორებადობათა რიცხვი თვეებისა და წლების მიხედვით.


თვეები/ წლები	I	II	III	IV	V	VI	VI I	VI II	IX	X	XI	XI I	საშ.
1960	1 6	7	2	2	1 0	0	6	0	5	7	2 3	1 3	7,6
1961	1 0	1	2	2	2	3	1	2	2	2 7	3	5	5
1962	1 8	1 6	8	3	7	4	1	4	1 6	7	2 5	1 2	10
1963	6	1 4	8	9	1 4	0	0	9	6	6	9	2	7
1964	2	1 1	9	3	0	2	0	0	9	1 4	3	1 4	5,6
1965	2 7	1 1	1 2	1 1	1 1	0	0	1 2	1 1	4	4	1 1	9,5
1966	9	0	1 4	3 0	2 1	7	0	2	9	2 4	4 0	2 4	15
1967	8	2 9	2 3	1 9	2 0	5	0	0	1 1	1 5	2 6	1 7	14,4
1968	1 7	1 8	2 7	2 9	2 1	6	1	1 1	1 7	3 0	1 7	3 3	19
1969	4 0	1 4	1 8	1 1	5	7	9	1 9	1 1	5	2 2	2 1	15
1970	3 5	2 6	2 9	2 6	1 4	1 1	6	0	1 1	1 7	8	1 1	16,1
1971	2 2	1 5	2 1	1 5	2 6	0	5	6	1 3	5	3	3	11,2
1972	2 7	2 5	1 7	2 0	1 1	2	1 5	2 5	1 3	7	1 4	1 1	15,6
1973	1 8	6	1 3	1 5	5	3	1	1 2	1 8	1 3	4	5	9,4
1974	2 4	3 4	4 8	2 1	5	1	5	1 1	3 2	5 0	1 9	9	21,6
1975	7	2 1	1 3	1 6	6	1 4	2	7	7	2 9	2 0	2 0	13,5
1976	3	1 1	2 9	1 3	3	0	1	0	3	1 4	3 3	2 3	11,1
1977	3 3	1 9	7	1 3	1 2	4	3	6	6	8	3	2	9,7
1978	9	3 0	1 1	4 0	1 4	1	9	4	1 3	6	3	4	12
1979	1 6	1 4	1 3	1 8	5 0	6	0	1 1	1 6	7	3 9	4	16,2
1980	1 8	1 3	3 3	2	8	7	9	3	9	2 3	4	9	11,5
1981	3 7	2 1	1 0	6	8	0	7	0	1 3	3 3	7	3 0	14,3

1982	5	5	2 7	1 3	2 2	9	4	0	7	1 7	1 2	7	10,7
1983	4	9	1 0	0	1 7	0	0	2	5	8	8	1 4	6,4
1984	2 3	5 3	3 6	1 5	2 0	5	0	0	9	4	8	3 0	17
1985	1 5	0	1 6	1 7	1 3	0	2	1 1	2	1 4	1 4	6	9,2
1986	9	2 9	2 7	1 7	1	0	0	9	0	1	1	1 5	9
1987	1 8	1 5	1 4	1 1	7	0	1	6	1	4 8	2 0	3	12
1988	3	2 0	1 8	9	6	0	0	4	1 4	3 5	6	3	9,8
1989	0	0	1 2	6	1	2	1	6	1 0	9	3 1	3	6,7
1990	6	3	1	9	1 9	5	0	0	1 1	1 4	2	2 4	7,8


თვალსაჩინოებისათვის ცხრილში მოცემული მონაცემები წარმოდგენილია ნახ. 2.4.1-ზე. როგორც ნახ.2.4.1-დან ჩანს ქარის სიჩქარეთა განმეორებადობა ქარის სიჩქარის 16-20 მ/წმ ინტერვალისათვის მნიშვნელოვნად იცვლება სეზონების მიხედვით, ყველაზე მეტი განმეორებადობა სიჩქარის ამ ინტერვალს აქვს გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ხოლო ყველაზე მცირე განმეორებადობა გვხვდება ზაფხულში. ნახ.2.4.2-ზე წარმოდგენილია ქარის სიჩქარეთა განმეორებადობა ქარის სიჩქარის 20-25 მ/წმ ინტერვალისთვის. ნახ.2.4.2-დან ჩანს ამ ინტერვალის ქარის სიჩქარის განმეორებათა მინიმალურია მხოლოდ ზაფხულის სეზონისთვის. ზაფხულში იშვიათად გვხვდება 20-25 მ/წმ ინტერვალის ქარი. ანლოგიურად ნახ.2.4.3-ზე წარმოდგენილია ქარის სიჩქარის >25 (მ/წმ) გრადაციების განმეორებადობათა რიცხვი თვეების მიხედვით (1984-2014 წ.წ), ნახ.2.4.3-დან შეგვიძლია ვთქვათ, რომ განმეორებათა რიცხვის განაწილება სეზონების მიხედვით წინა ორი ინტერვალის ანალოგიურია, გამონაკლისია მხოლოდ ის რომ ამ შემთხვევაში ძლიერი ქარების სიხშირე შედარებით დაბალია.



სურ.2.4.1. ქარის სიჩქარის აბსოლუტურ მნიშვნელობათა 16-20 (მ/წმ) გრადაციების განმეორებადობათა რიცხვი თვეებისა და წლების მიხედვით.




ნახ.2.4.2. ქარის სიჩქარის აბსოლუტურ მნიშვნელობათა 20-25 (მ/წმ) გრადაციების განმეორებადობათა რიცხვი თვეებისა და წლების მიხედვით (1984-2014 წ.წ.).




ნახ.2.4.3. ქარის სიჩქარის აბსოლუტურ მნიშვნელობათა >25 (მ/წმ) გრადაციების განმეორებადობათა რიცხვი თვეების მიხედვით (1984-2014 წ.წ.).

ნახ. 2.4.4-ზე წარმოდგენილია ქუთაისის რეგიონისთვის ქარის სიჩქარეთა აბსოლუტურ მნიშვნელობების ინტერვალური განაწილება თვეების მიხედვით (1990-2021 წ.წ), როგორც ნახ. 2.4.4-დან ჩანს ყველა სეზონის განმავლობაში ფიქსირდება 16-20 მ/წმ და 20-25 მ/წმ ინტერვალების ქარი. ხოლო ძალიან ძლიერი ქარის მნიშვნელობები (>25 მ/წმ) ზაფხულის სეზონზე არ გვხვდება. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ზაფხულში 16-20 მ/წმ და 20-25 მ/წმ ინტერვალების ქარის მნიშვნელობები მინიმალურია დანარჩენი სეზონების ქარის მნიშვნელობებთან შედარებით.



ნახ. 2.4.4. ქუთაისის რეგიონისთვის ქარის სიჩქარეთა აბსოლუტური მნიშვნელობების ინტერვალური განაწილება თვეების მიხედვით (1990-2021 წ.წ).

ნახ. 2.4.5-ზე წარმოდგენილია 1990-2021 წ.წ ქუთაისის რეგიონისთვის ქარის სიჩქარეთა აბსოლუტური მნიშვნელობების გრადაციების განმეორებადობის პროცენტული განაწილება. როგორც ნახ. 2.4.5-დან ჩანს მოცემული წლებისთვის ქარის სიჩქარის განმეორებათა რიცხვი 16-20 მ/წმ შუალედში გაცილებით მაღალია (61%), ვიდრე დანარჩენი ორი ინტერვალისთვის (20-25 მ/წმ - 30%, >25 მ/წმ- 8 %).



ნახ. 2.4.5. ქუთაისის რეგიონისთვის ქარის სიჩქარეთა აბსოლუტური მნიშვნელობების ინტერვალური განმეორებადობის პროცენტული განაწილება (1990-2021 წ.წ).

როგორც აღვნიშნეთ ქარის გენერატორის ასამუშავებლად საკმარისია 3 მ/წმ ქარის სიჩქარის მნიშვნელობა, ამიტომ მნიშვნელოვანია თვეების მიხედვით ქარის საშუალო სიჩქარის განაწილების ცოდნა. ცხრ. 2.4.2 -ზე წარმოდგენილია ქარის საშუალო სიჩქარის მნიშვნელობები თვეების მიხედვით 1990-2021 წლებისათვის. რადგან აქ გვაქვს არა მყისიერი სიჩქარე , არამედ საშუალო მნიშვნელობები, ამიტომ ყურადღება გავამახვილეთ 5 მ/წმ -ზე მეტი ქარის სიჩქარეებზე. ცხრილში გამუქებულია ქარის სიჩქარის ის მნიშვნელობები რომელთა სიდიდე აღემატება ან ტოლია 5 მ/წმ -ის.

როგორც ცხრ.2.4.2-დან ჩანს, რომ ქარის სიჩქარეთა საშუალო მნიშვნელობები 5 მ/წმ-ის ზემოთ იშვიათია ზაფხულის სეზონისთვის, ხოლო დანარჩენი სამი სეზონის განმავლობაში ქარის სიჩქარის საშუალო მნიშვნელობები უმეტესად 5 მ/წმ-ზე მეტია.


ცხრ.2.4.2. ქარის სიჩქარის საშუალო მნიშვნელობების განაწილება თვეების მიხედვით 1990-2021 წ.წ.

თვეები/წლები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1990	3.3	5	3.8	5.3	5	3.9	2.5	2.7	4.6	5.4	4.2	6.4
1991	4.4	6.7	6.6	6.2	5.8	3.9	3	2.6	3.4	5.7	6.1	5.1
1992	3.3	4.1	5.1	5.2	5.4	4.4	4.8	4.7	4.6	5.5	5.3	5.2

1993	6	5.4	6.2	5.7	6.3	4.4	4	3.5	4.5	6.6	6.7	5.7
1994	6.4	5.6	5.3	6.4	4.9	4.8	5	4	8.8	8.5	3.9	4.5
1995	5.6	4.3	7	4.9	4.9	3.7	3.9	3.2	4.3	5.1	4.4	5.7
1996	8.9	7.8	8.6	7.6	5.7	3.5	4.1	4.9	4.4	5.0	7.5	8.0
1997	4.2	3.9	3.7	5.4	4.1	3.8	3.7	3.4	4.1	3.3	5.4	4.9
1998	5.9	4.3	6.3	4.8	5.9	3.5	3.6	3.7	6.2	5.4	6.3	4.9
1999	4.3	5.9	6.0	5.4	4.2	4.4	4.3	2.4	3.6	3.7	4.9	6.0
2000	3.6	3.7	4.6	4.5	4.0	3.9	4.0	3.3	3.6	5.8	6.4	3.5
2001	5.0	4.9	5.3	5.1	3.3	3.8	3.9	5.4	5.6	4.4	4.9	7.4
2002	3.5	4.6	5.3	4.5	4.2	3.3	4.3	3.8	3.7	4.5	4.8	6.6
2003	5.8	5.1	5.0	7.5	4.5	3.5	3.0	2.5	4.2	3.0	4.9	5.6
2004	5.7	2.9	4.6	5.7	3.3	3.6	2.9	2.7	2.8	5.4	4.8	3.1
2005	4.9	7.3	4.4	4.4	4.5	3.0	2.9	2.7	2.5	3.6	4.0	5.6
2006	6.3	4.1	5.7	4.3	3.9	4.0	2.8	2.9	3.9	2.1	4.1	2.8
2007	3.5	4.9	5.4	3.2	7.4	3.8	3.4	4.5	3.3	5.4	4.2	5.2
2008	6.4	4.9	5.1	4.3	3.0	3.4	3.1	3.7	3.7	5.2	5.5	5.8
2009	5.7	5.8	4.7	4.7	3.4	5.6	2.8	2.6	3.7	5.1	5.6	6.1
2010	6.5	8.3	6.2	5.2	3.5	4.3	3.0	3.9	4.9	3.7	4.2	4.6
2011	4.3	6.6	4.5	6.4	3.8	2.7	2.8	4.5	3.1	3.5	3.1	5.8
2012	5.5	5.9	3.9	3.9	3.1	4.1	4.2	2.5	3.9	5.0	5.1	7.2
2013	4.4	6.4	6.1	5.4	5.1	3.5	2.3	3.0	2.5	4.4	5.3	4.3
2014	3.8	7.6	5.8	4.2	3.5	3.6	3.8	3.8	3.8	5.4	6.5	5.2
2015	5.0	5.4	5.9	4.0	3.5	3.5	3.1	3.8	5.7	3.7	3.5	2.7
2016	4.8	4.8	4.6	4.5	3.0	2.7	2.8	2.3	1.8	5.6	6.5	3.4
2017	3.7	3.4	5.7	5.4	2.8	3.0	2.7	3.3	3.6	3.3	4.0	5.1
2018	4.0	5.1	5.0	5.3	3.5	2.7	2.2	3.4	2.9	4.5	4.9	4.5
2019	4.0	3.6	3.3	2.9	3.1	3.0	2.0	2.7	3.7	2.5	7.5	3.8
2020	3.5	4.5	5.0	3.9	3.3	3.7	2.8	2.9	4.2	6.0	3.9	7.2
2021	4.5	2.8	4.1	3.0	3.3	2.5	2.5	2.6	1.8	4.7		

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ქარის ველის სტატისტიკური დახასიათებისათვის შემოღებულია დინამიკური (B) და თერმული მდგრადობის (A) კოეფიციენტები, ჩვენ გამოვთვალეთ მათი საშუალო მნიშვნელობები წლების განმავლობაში. 1984-2014 წლებისათვის როცა ქარის სიჩქარე 16-20 მ/წმ-ის შუალედშია დინამიკური და თერმული მდგრადობის კოეფიციენტების საშუალო მნიშვნელობებიც სეზონების მიხედვით განიცდის ცვლილებას (ნახ.2.4.6). რაც ბუნებრივია, რადგან ქარის სიჩქარის ცვლილება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ტემპერატურის ცვლილებასთან. როგორც ცნობილია ქარის სიჩქარის დღეღამურ სვლაში მაქსიმუმი შუადღეს მყარდება. ამის მიზეზია თერმული არამდგრადობა, რის გამოც ძლიერდება ვერტიკალური


ტურბულენტური ცვლა, და ურთიერთქმედება ატმოსფეროს ქვედა და ზედა ფენებს შორის. ატმოსფეროს ქვედა ფენებში მატულობს ზედა ფენებიდან სწრაფად მოძრავი ნაწილაკების ნაკადი, ხოლო ზედა ფენებში კი მატულობს ისეთი ნაწილაკების ნაკადი, რომელთაც ჰორიზონტალური მოძრაობის ნაკლები სიჩქარე გააჩნია. წლის თბილი პერიოდის განმავლობაში ქარის სიჩქარის მაქსიმუმი გადაინაცვლებს დღის მეორე ნახევარში (ელიზბარაშვილი ე., 2007).




ნახ. 2.4.6. A და B კოეფიციენტების საშუალო მნიშვნელობების განაწილება თვეების მიხედვით (ქარის სიჩქარის 16-20 მ/წმ -სათვის).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ნახ.2.4.6-ზე წარმოდგენილია A და B კოეფიციენტების საშუალო მნიშვნელობების განაწილება თვეების მიხედვით ქარის სიჩქარის 16-20 მ/წმ -სათვის. როგორც სურათიდან ჩანს კოეფიციენტების ცვლილება თვეების მიხედვით ქარის სიჩქარის ცვლილების მსგავსია, სიჩქარეების მაქსიმუმი როგორც აღვნიშნეთ სეზონების მიხედვით გვხვდება გაზაფხულსა და შემოდგომის ბოლოს, ანალოგიურად იცვლება სეზონების მიხედვით A და B კოეფიციენტების მნიშვნელობაც. როგორც ცნობილია ძირითადი ფრონტალური პროცესები საქართველოს ტერიტორიაზე დაიკვირვება გაზაფხულსა და შემოდგომაზე, რაც დაკავშირებულია თერმულ არამდგრადობასთან, დროის გარკვეულ შუალედში აღებული მაქსიმალური და მინიმალურ ტემპერატურათა დიდი სხვაობა იწვევს თერმულ არამდგრადობას, რაც უშუალოდ განსაზღვრავს წნევის ცვლილების ხასიათს რის შედეგადაც სეზონების მიხედვით ყალიბდება ჰაერის მასების გადაადგილების ტენდენცია.


ნახ. 2.4.7-2.4.11-ზე წარმოდგენილია ქარის მაქსიმალური სიჩქარეების განაწილება თვეების მიხედვით ზოგიერთი წლისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თვეების მიხედვით ქარის მაქსიმალური მნიშვნელობები დაფიქსირებულია თებერვალ-მარტში, ხოლო მინიმალური ივლისში (ნახ. 2.4.7-2.4.11).




ნახ. 2.4.7. ქარის სიჩქარეების განაწილება თვეების მიხედვით ქუთაისის რეგიონისათვის.




ნახ. 2.4.8. ქარის სიჩქარეების განაწილება თვეების მიხედვით ქუთაისის რეგიონისათვის.



ნახ. 2.4.9 ქარის სიჩქარეების განაწილება თვეების მიხედვით 1984-1986 წ.წ. ქუთაისის რეგიონისათვის.



ნახ. 2.4.10 ქარის სიჩქარეების განაწილება თვეების მიხედვით 1984-1986 წ.წ. ქუთაისის რეგიონისათვის ($V > 25$ მ/წმ).



ნახ. 2.4.11 ქარის სიჩქარეების განაწილება თვეების მიხედვით ქუთაისის რეგიონისათვის.

როგორც კვლევამ აჩვენა ყველაზე მეტი განმეორებადობა გვაქვს ქარის სიჩქარის 16-20 მ/წმ შუალედში, ყველაზე მცირე კი 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარის შემთხვევაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამივე შუალედის შემთხვევაში ქარის სიჩქარის სეზონური ცვლილება თითქმის ერთნაირია. განმეორებათა რიცხვის მაქსიმუმი გვხვდება ზამთრის ბოლოს და გაზაფხულის დასაწყისში, ასევე შემოდგომის ბოლოს ზამთრის დასაწყისში. წარმოდგენილი კვლევის თანახმად ანალოგიურად იცვლება სეზონების მიხედვით თერმული და დინამიკური მდგრადობის კოეფიციენტებიც. აღსანიშნავია, რომ თერმული პარამეტრი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული დინამიკურ პარამეტრთან, რადგან დროის გარკვეულ შუალედში ტემპერატურათა ცვლილება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქარის სიჩქარის ცვლილების ტენდენციას.

ენერგეტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აგრეთვე ქარის სიჩქარის ხანგრძლივობაც, თუმცა ეს პარამეტრი გარკვეულწილად დაკავშირებულია განმეორებადობასთანაც, ამიტომ შესაძლებელია ვთქვათ, რომ ენერგეტიკული თვალსაზრისით ქუთაისის რეგიონისთვის ძირითადი წამყვანი ქარის სიჩქარის შუალედი 16-20 მ/წმ. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ ზაფხულში 20-25 მ/წმ ინტერვალების ქარის მნიშვნელობები მინიმალურია დანარჩენი სეზონების ქარის მნიშვნელობებთან შედარებით, მაგრამ ენერგეტიკული თვალსაზრისით ეს არ არის მნიშვნელოვანი, რადგანაც ენერჯის მოხმარება მინიმალურია. ქარის სიჩქარის 16-20 მ/წმ შუალედი უზრუნველყოფს ქარის ენერჯის გამოყენების მაქსიმალურ ეფექტურობას. ამგვარად, ენერგეტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასეთი სიდიდის სიჩქარეები, რომლებიც უზრუნველყოფს ქარის ენერგეტიკული დანადგარის ავტომატურ რეჟიმს და წარმოადგენს ქარის ელექტროსადგურების გავითარებისთვის მნიშვნელოვან საფუძველს დასავლეთ საქართველოში.

2.5. მეორე თავის დასკვნა

ატმოსფერული ჰაერის დინამიკა იზოლირებული დაბრკოლებისა და სამხრეთ კავკასიის რეალურ რელიეფის შემთხვაში, არასტაციონარული ფართომასშტაბიანი ფონური პროცესების არსებობის პირობებში შესწავლილია სამგანზომილებიანი ჰიდროსტატიკური მეზომასტაბური მოდელის საფუძველზე. რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ოროგრაფიულ თავისებურებათა გავლენა, ტროპოსფეროში მნიშვნელოვნად გარდაქმნის არამდგრად ფონურ ნაკადს. კერძოდ, სინოპტიკური მასშტაბის ატმოსფერული ჰაერის მოძრაობის დროს მნიშვნელოვნად იზრდება მეზომასტაბური ნაკადის ამპლიტუდები ვერტიკალური მიმართულებით და მათი საშუალო მნიშვნელობიდან სიჩქარის გადახრის მნიშვნელობები (ქარის სიჩქარის მაქსიმალურმა სიდიდემ მიაღწია 26 მ/წმ-ს, როდესაც შეუშფოთებელი ფონის ჰაერის ნაკადის სიჩქარე იყო 12 მ/წმ). გარდა ამისა, ნაჩვენებია იქნა, რომ ფონური დინების არარსებობის შემთხვევაშიც, ატმოსფერული ქარის სიდიდემ შეიძლება მნიშვნელოვნად მოიმატოს რთული ოროგრაფიის პირობებში. გარდა ამისა,

განგარიშების შედეგებმა აჩვენა, რომ კავკასიონის ქედმა მნიშვნელოვნად გაზარდა ტროპოსფეროში ატმოსფერული დინებათა ამპლიტუდები და გააჩინა მორევის ტიპის სტრუქტურები მცირე ფონური დინების შემთხვევაშიც. ეს შედეგები პირველად იქნა მიღებული რიცხვითი მოდელირებით და ეთანხმება მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემებს. შესწავლილ იქნა ატმოსფერულ ნაკადთა სიძლიერე და განმეორადობის მახასიათებელი პარამეტრები, ენერგეტიკული თვალსაზრისით, ქუთაისის მაგალითზე. როგორც კვლევამ აჩვენა ყველაზე მეტი განმეორებადობა გვაქვს ქარის სიჩქარის 16-20 მ/წმ შუალედში, ყველაზე მცირე კი 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარის შემთხვევაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათთვის ქარის სიჩქარის სეზონური ცვლილება თითქმის ერთნაირი იყო. განმეორებათა რიცხვის მაქსიმუმი აღინიშნებოდა ზამთრის ბოლოს და გაზაფხულის დასაწყისში, ასევე შემოდგომის ბოლოს და ზამთრის დასაწყისში. წარმოდგენილი კვლევის თანახმად ანალოგიურად იცვლებოდა სეზონების მიხედვით თერმული და დინამიკური მდგრადობის პარამეტრებიც, აღსანიშნავია, რომ თერმული პარამეტრი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული დინამიკურთან რადგან დროის გარკვეულ შუალედში ტემპერატურათა ცვლილება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქარის სიჩქარის ცვლილების ტენდენციას. ენერგეტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აგრეთვე ქარის სიჩქარის ხანგრძლივობაც, თუმცა ეს პარამეტრი გარკვეულწილად დაკავშირებულია განმეორებადობასთანაც, ამიტომ შესაძლებელია ვთქვათ, რომ ქუთაისის რეგიონისთვის ძირითადი წამყვანი ქარის სიჩქარის შუალედია 16-20 მ/წმ რაც ძალიან მნიშვნელოვანია ენერგეტიკული თვალსაზრისით. ასევე აღსანიშნავია, რომ 20-25 მ/წმ ინტერვალის ქარის მნიშვნელობები მინიმალურია ზაფხულში დანარჩენ სეზონებთან შედარებით, თუმცა ენერგეტიკული თვალსაზრისით ეს არ არის მნიშვნელოვანი, რადგანაც ენერჯის მოხმარება ამ პერიოდში მინიმალურია. ქარის სიჩქარის 16-20 მ/წმ შუალედი უზრუნველყოფს ქარის ენერჯის გამოყენების მაქსიმალურ ეფექტურობას და ასეთი სიდიდის ქარის სიჩქარეები უზრუნველყოფენ ქარის ენერგეტიკული დანადგარის გამართულ ავტომატურ რეჟიმს რაც წარმოადგენს ქარის ელექროსადგურების გავითარებისთვის მნიშვნელოვან საფუძველს დასავლეთ საქართველოს რეგიონისთვის.

თავი 3. რთული ოროგრაფიის პირობებში ლოკალური კონვექციური პროცესების შესწავლა WRF მოდელითა და Ready სისტემის გამოყენებით.

3.1 WRF მოდელის მონაცემები და მეთოდოლოგია.

რეგიონალური კლიმატური ფორმირებები რთული ოროგრაფიის ტერიტორიაზე განპირობებულია გრძელმასშტაბიანი სინოპტიკური და ლოკალური ატმოსფერული პროცესების ერთობლივი მოქმედებით, სადაც ძირითადად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რთული ოროგრაფიის სტრუქტურას. კავკასიის ტერიტორია და განსაკუთრებით საქართველო არის ამის კარგი მაგალითი, სადაც ოროგრაფიული არაერთგვაროვნება თამაშობს მნიშვნელოვან როლს მეტეოროლოგიური სიდიდეების დროსა და სივრცეში განაწილებაზე (საქართველოს ტერიტორიის 85% არის მთაგორიანი). როგორც ცნობილია, გლობალური ამინდის საპროგნოზო მოდელებით შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ ფართომასშტაბიანი ატმოსფერული პროცესები, მაგრამ არ არის საკმარისი მეზომასშტაბური პროცესების პროგნოზირებისთვის, რაც ძირითადად დაკავშირებულია რეგიონის რთულ რელიეფთან და ზედაპირული საფარის არაერთგვაროვნებასთან. მცირემასშტაბიანი ატმოსფერული პროცესების მოდელირებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ადგილობრივი რელიეფის ძირითადი მახასიათებლები, ზედაპირის არაერთგვაროვნება და მათი გავლენა გრძელ ან მოკლევადიან ატმოსფერულ პროცესებზე. ბოლო წლებში ფართოდ გამოიყენება ამინდის კვლევისა და პროგნოზირების მოდელები (WRF) მოკლე და საშუალო მასშტაბის ამინდის წინასწარმეტყველებისათვის (Skamarock et al., 2005). WRF მოდელის 3.6 ვერსია წარმოადგენს კარგ საშუალებას რეგიონალური და მეზომასშტაბური ატმოსფერული პროცესების შესწავლისათვის, როგორცაა, რეგიონალური კლიმატი, ექსტრემალური ნალექები, სეტყვა, ოროგრაფიის გავლენა მეზომასშტაბურ ატმოსფერულ პროცესებზე (Skamarock et al., 2005). ზოგადად WRF მოდელი არის რიცხვითი მეთოდებით ამინდის პროგნოზირებისა და მოდელური ატმოსფეროს სიმულირების სისტემა, რომელიც შექმნილია როგორც კვლევითი, ასევე ოპრეტიული გამოყენებისათვის. WRF მოდელი დამუშავებულია: აშშ ატმოსფეროს კვლევის

ეროვნული ცენტრის (NCAR) მეზომასშტაბური და მიკრომასშტაბური მეტეოროლოგიის განყოფილებაში (MMM), ოკეანისა და ატმოსფეროს ადმინისტრირების (NOAA) ცენტრებში გარემოს პროგნოზირებისათვის (NCEP) და დედამიწის სიტემის კვლევის ლაბორატორიაში (ESRL), სამხედრო-საჰაერო თავდაცვის დეპარტამენტის ამინდის სააგენტოში (AFWA) და საზღვაო-სამხედრო აკადემიის კვლევით ლაბორატორიაში (NRL), შტორმების ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრში (CAPS), ავიაციის ფედერალურ ადმინისტრაციაში (FAA) და მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტების მეცნიერთა მონაწილეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამინდის კვლევისა და პროგნოზირების და პერსპექტიული კვლევების მოდელი (WRF-ARW) არის ისეთი კვლევის ინსტრუმენტი, რომელიც გვთავაზობს ატმოსფეროს ფიზიკის პარამეტრიზირებულ სქემათა მრავალრიცხოვან ვარიანტებს, რომლებიც შეიძლება შერწყმული იყოს ერთმანეთთან მრავალი ხერხით (Orlando, 2014; Segele et al., 2013; Silva et al., 2010; Yair et al., 2010; Kain et al., 2004; Gilliland & Rowe, 2007; Wang & Seaman, 1997). მართლაც, WRF-ARW მოდელში ფიზიკის ძირითადი კატეგორიების პარამეტრიზაცია (მიკროფიზიკა, ღრუბლების პარამეტრიზაცია, პლანეტარული სასაზღვრო ფენის ფიზიკა, ატმოსფერული რადიაციის ფიზიკა) ორმხრივად არის დაკავშირებული WRF-ARW მოდელის მეშვეობით ძირითად მეტეოროლოგიურ ცვლადებთან (პოტენციური ტემპერატურა, ტენიანობა, ქარი და ა.შ.) და მათი ცვლილების ტენდენციებთან (Skamarock et al., 2005; Orlando, 2014; Segele et al., 2013; Silva et al., 2010).

კავკასიის რთულ ოროგრაფიულ პირობებში, ოპტიმალური საპროგნოზო რეგიონალური მოდელის შერჩევის მიზნით, ჩვენს მიერ რიცხვითი თვლის შედეგებით გამოცდილ და შესწავლილ იქნა WRF-NMM ოპერატიული მოდელის (კავკასიის რთული ოროგრაფიის გათვალისწინებით) შემდეგი ფიზიკური სქემები: ბეტს-მილერ-ჯენიჩის „გროვა ღრუბლების“ ღრმა და არაღრმა კონვექსიის მარეგულირებელი პარამეტრიზაციის სქემა (Janjić, 1994), მიკროფიზიკური სქემა–ფერიეს ახალი სქემა: რაგიონალური სქემა პროგნოსტიკული შერეული ფაზის პროცესებისათვის.

სასაზღვრო ფენის სქემა–მელორ-იამადა-ჯენიკის სქემა: ერთ-განზომილებიანი პროგნოსტიკული ტურბულენტური კინეტიკური ენერჯის სქემა ლოკალური ვერტიკალური შერევით (Janjić, 1994; 2000).

დედამიწის ზედაპირის ფიზიკა – NMM-ის ხმელეთის ზედაპირის მოდელი (LSM): ეფუძნება 2005 წლის მაისის NOAA-ის ხმელეთის ზედაპირის მოდელს 4-ფენიანი ნიადაგის ტემპერატურითა და სინოტივით, ფრაგმენტული თოვლის საფარითა და ნიადაგის წყინვის ფიზიკით.

ზედაპირის ფენების ფიზიკა – ჯენიკის მსგავსების სქემა: ეფუძნება მონინ-ობუხოვის სქემას ზილიტინკევიჩის თერმული არაერთგვაროვნების სიგრძისა და მსგავსების სტანდარტული ფუნქციების გამოყენებით (Janjić, 2000).

გრძელტალღიანი რადიაციის ფიზიკა – GFDL მოდელის გრძელტალღიანი რადიაციის სქემა: მოიცავს ღრუბლების მიკროფიზიკასაც.

მოკლეტალღიანი რადიაციის ფიზიკა – GFDL მოდელის მოკლეტალღიანი რადიაციის სქემა: ორი სპექტრული, k-განაწილების სქემა, განიხილავს ოზონსა და წყლის ორთქლს, როგორც ძირითად მშთანთქმელ აირებს. მოიცავს ღრუბლების მიკროფიზიკასაც.

